მეორე წელიწადი ფასი 5 კაპ. პარასკევი, 3 თიბათვე 1616 წ. № 122

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ ხურუფით პირველ გვერდზე, პეტიტი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., ...... გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

## სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა

პარასკევს 3-ს და შაბათს 4-ს თიბათვეს თბილისის და ქუთაისის ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პოეტ, ა. შანშიაშვილის 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა, გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან

# უგვირგვინო მეფენი

პიესას დასდგავს რეჟისორი შალვა დადიანი

**მონაწილეობას მიიღებენ:** ანდრონიკაშვილი ელო, ვიქტორელი მ., ქილარჯიშვილი ლ., გუნია ვ., გამყრელიძე ვ., გომელაური ზ., გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., მურუსიძე ა., ყალაბეგიშვილი ა., ივანიძე ს., სარაული მ., რევაზიშვილი ი., თარალაშვილი ი., ჩაგუნავა ნ., მამფორია ი. და სხ.

პიესაში მონაწილ. მიიღებს ამხან. ქარ. მომღერალ-მგალობელთა გუნდი.

**პირველი მოქ.** მეფე ლუარსაბ და გიორგი სააკაძე აგარაკად. კარის კაცის, შადიმანის ბოღმა და მისი პირველი ხლართი სააკაძის წინააღმდეგ. მტრის შემოსევის ამბავი და საბრძოლველად გალაშქრება.

**მეორე მოქ.** ნადიმი სააკაძის ოჯახში. პირველი შეხვედრა თეკლეს ❦ მეფისა. კარის კაცის შადიმანის ბოროტ ზრახვათა ქსელის გაბმა.

**მესამე მოქ.** მეფე ლუარსაბის სიყვარული და მოციქულთა შუამდგომლობა სააკაძის წინაშე. სააკაძის უარი. შადიმანის ბოროტ ზრახვათა განხორციელება. პირველი მსხვერპლი. მეფის განჩინება. სასახლის დიდებულთა უკმაყოფილობა და შეთქმულობა.

**მეოთხე მოქ.** სააკაძე და სამეფო საქმენი. შადიმანის მახეში სააკაძის მეგობრის მოხერხება. თეკლეს გამოტეხა და სააკაძის წუხილი. შადიმანის ბოროტ ზრახვათა დაკმაყოფილება.

**მეხუთე მოქ.** მეფე ლუარსაბი და თეკლე. დიდებულთა შეთქმულობა და მეფის უარი. სააკაძის მეგობრის ღალატი. მეფის საბედისწერო განაჩენი. სააკაძის მკვლელები. შადიმანის მახე და მშვენიერი ასული. სააკაძის მკვლელი და სააკაძის გადარჩენა. მხილება. უდანაშაულო მსხვერპლი და სააკაძის თავის დახწევა.

**ადგილების ფასი 40 კ-დან 2 მ. 40 კ-მდე.**

**წარმოდგენის დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

გამგე **ნ. ჩაგუნავა.** რეჟისორი **შალვა დადიანი.**

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

**წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.**

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131)

კვირას, 5 ივნისს

## ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობის დამხმარე საზოგ. „ი მ ე დ ი“-ს

სასარგებლოდ გაიმართება

# დიდი სახალხო სეირნობა

გასართობები ბავშვებისთვის და დიდებისთვის: სინემატოგრაფი, პტი-შვო, ტუმბა, ცეკვა-ლეკური, პატარა ცხენით (პონი) სეირნობა, რგოლების სროლა, ნიშანში სროლა, ფოსტა, ყვავილები, კონპეტი, მკითხავი და სხვ.

—— სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. ——

**დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.**

შესასვლელი ფასები: დიდებისთვის 40 კ. ბავშვებისა და მოწაფეებისთვის 30 კ.

(5-115-3)

---

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

—126—

---

## ტყის პატრონთა საგულისხმოდ

**საჭიროა** რამდენიმე ასეული კუბიკური საჟ. ნაპობი წიფლის **შეშა**

## ქართველ მეპურეთა კოოპერაციისთვის

გამგეობა კისრულობს „ნარიადების“ მიცემასაც

**მისამართი:** ოლღას ქუჩა № 4. ტელ. 6-60.

დილის 9—12 ს. საღამოს 6—9 საათამდე.

(3-208-1)

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხაილოვის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობა)

პარასკევს 3 თიბათვეს

## სინემატოგრაფი და ბაღში დაუკრავს საზანდარი

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

სტუმართა შესვლა საზოგადო წესით (1-119-1)

---

ღვინის საწყობი

# ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

# კახური ღვინო

**განოვის ქუჩა № 4.**

—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——

(185—წ.)

---

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

---

## სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.

წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—9)

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

---

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

დ. ზესტაფონში

## ექიმი დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

---

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

---

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—203—2)

---

## თბილისი, 3 თიბათვე

**უდროვო შუამდგომლობა**

მოსკოვის გაზეთ „რუსსკია ვედომოსტში“ შემდეგი შინაარსის დეპეშაა მოთავსებული: „მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონების ქუთაისის სამმართველოს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა ომის მონაწილეებს, აფიცრებსა და ჯარის კაცებს მამული მიეცეს შავი ზღვის ნაპირებზე ხოფის, რიზეს და სიურმენეს რაიონებში“. ეს დეპეშა კერძო კორესპონდენტის მიერ არის გაგზავნილი. ოფიციალურად დასტურებული არ არის, მაგრამ მეტის მეტად სიმპტომიტიურია. საზოგადოებაში ხშირად გაისმოდა ხმები, მთავრობას ჰსურს გახვეწილი აჭარლების მიწა-წყალზე უცხო ელემენტები დაასახლოსო. ამ უცხო ელემენტებად უმეტეს ნაწილად სომხებს ჰგულისხმობდნენ. ბოლოს ეს ხმები მიყუჩდა. დაგვაიმედეს რომ საკითხი გადაიდება აჭარელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდეო. ეხლა როგორც სჩანს საქმისთვის სხვანაირი მიმდინარეობა მიუციათ: ეხლა ლაპარაკი არის არა აჭარელთა მამულის განაწილებაზე, არამედ ლაზისტანის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ადგილის მისაკუთრებაზე.

ჩვენ გვგონია რომ ამ საქმის პირდაპირი ინიციატორი არ შეიძლება მთავრობა იყოს. რუსის მთავრობამ რასაკვირველია კარგად იცის რომ ლაზისტანი დაპყრობილი ადგილია, ჭანები მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ქვეშევრდომები არიან და მათი საკუთრება საერთაშორისო უფლებით არის უზრუნველყოფილი. მთავრობას უფლება აქვს საკუთარი ქვეშევრდომების მიწა-წყალს კონფისკაცია უყოს თუ ეს მას საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია, მაგრამ მას არ შეუძლია დაპყრობილი ტერიტორიაზე მფლობელობითი ურთიერთობა შესცვალოს ზავის ჩამოგდებამდე. მართალია უკანასკნელი რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ქობულეთისა და ქვემო აჭარის ზოგიერთი საავარაკო ადგილები რუსის მხედრობას გადაეცა, მაგრამ ეს მოხდა მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ, როცა მაჰმადიანი ქართველობის ერთმა ნაწილმა საბოლოოდ მიატოვა სამშობლო მიწა-წყალი და ოსმალეთში გადასახლდა. ჭანეთში კი ჯერჯერობით ევაკუაცია მოხდა, ომის პირობების მიერ გამოწვეული და არა საბოლოო გაკრეფა ოსმალეთში. ამიტომ ჩვენის შეხედულებით ნაადრევია შუამდგომლობა მათი მიწა-წყალის შესყიდვაზე ან ბოძებაზე.

---

## პრესის მაგიერი

გუშინ „სახალხო გაზეთმა“ თავისებური კომენტარიები გაუკეთა ჩვენს მეთაურს, რომელიც კვირის ნომერში იყო მოთავსებული. მკითხველს ეხსომება ჩვენი თვალთსაზრისი: ჩვენ უპირატესობას ვაძლევდით ეროვნულ პოლიტიკას ვიწრო კლასობრივი იდეოლოგიის წინაშე და ვამტკიცებდით რომ არსებობს საერთო ინტერესთა სფერო, რომლის ნიადაგზე შეიძლება მთელი ერი გაერთიანდეს უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. სხვათა შორის ვსთქვით რომ ეკონომიურს წარმატებაში და ეროვნული კაპიტალის განმტკიცებაში მთელი საქართველოა დაინტერესებული. ცნობილია რომ „სახალხო გაზეთს“ თავის თავი სოციალისტურ ორგანოთ მიაჩნია. სოციალიზმი კი კერძო საკუთრების მოსპობასა და კოლექტიური საკუთრების დამყარებას ჰგულისხმობს. ეს მსოფლმხედველობა შეიძლება თავის თავად მეტისმეტად პატივსადები და მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ უეჭველია ის არ შეიძლება მთელი ერის იდეოლოგიად გარდაიქცეს. მაშინ როცა ტერიტორიის, ენის, ქონებრივი და სულიერი კულტურის დაცვაში მთელი ერია დაინტერესებული კერძო საკუთრების მოსპობასა და კომუნიზმისა თუ კოლექტივიზმის დაწესებას განსაზღვრული კლასის ინტერესი მოითხოვს. ეს კლასი პროლეტარიატია. ეს გარემოება კარგად ესმით მესამე დასელებს და ამიტომ ისინი გადაჭრით სდგებიან არა ნაციონალურს, არამედ კლასობრივ ნიადაგზე. ისინი ლაპარაკობენ არა მთელი ერის, არამედ მუშათა კლასის სახელით. „სახ. გაზეთს“ კი სურს ეროვნული თვალსაზრისიც შეინარჩუნოს და კერძო საკუთრების იდეოლოგიაც უარჰყოს. ეს ჩვენის აზრით წინააღმდეგობაა: დიდი ნაწილი ქართველი ერისა, გლეხობა და ქალაქის დემოკრატია, კერძო საკუთრების ნიადაგზე სდგას და კომუნიზმი თუ კოლექტივიზმი მისთვის არ წარმოადგენს რეალური პოლიტიკის საგანს.

გუშინდელ ნარკვევში „სახ. ფურც.“ სხვათა შორის სწერს:

> რანაირადაც არ უნდა მოუაროთ საკითხს, მაინც ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეროვნული გაერთიანება შეუძლებელია ბურჟუაზიული ლოზუნგებისა და იდეალების გარშემო მოჰხდეს. ამიტომ ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ეროვნულ გაერთიანებას გამოიწვევს და კლასს თავის კლასიურ მდგომარეობას დაავიწყებინებს, მხოლოდ დემოკრატიას შეუძლიან. დემოკრატიულ აზროვნებას კი არაფერი საერთო არა აქვს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან.

ამ შენიშვნის შესახებ იძულებული ვართ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ის რაც „კვირის“ მეთაურში ვსთქვით. ჩვენ აზრად არ გვაქვს მთელი ერის გაერთიანება, ერთი რომელიმე კლასის გაერთიანებული ლოზუნგების გარშემო. კლასთა ბრძოლის მიფუჩეჩება გულუბრყვილო ოცნებად მიგვაჩნია: არავითარ დემოკრატიას არ შეუძლიან პროლეტარიატს თავისი პროლეტარიატობა დაავიწყებინოს, ხოლო კაპიტალისტებს კაპიტალისტობა. ეროვნულ დემოკრატიას შეუძლიან მხოლოდ განკერძოებული ინტერესთა სფეროდან საერთო ეროვნული ინტერესები გამოსთიშოს და თავის მთავარი ყურადღება ამ უკანასკნელისკენ მიაპყროს.

---

## კიდევ ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებაზე

მთელი სომხობა, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ხელს უწყობს სომეხთა გადმოსახლებას საქართველოში.

რამ გამოიწვია ეს ლტოლვა ამის მიზეზების ახსნა-განმარტება საქმეს არას უშველის, რადგანაც ჩვენთვის ამ ლტოლვის შედეგებია საშიში. თუ დღემდე სომხობა ესახლებოდა ჩვენში, იგი ასსიმილიაციის გზას ედგა და სარწმუნოების გარდა მათ ქართველთაგან არა ჰყოფდათ რა. ისინი ქართველებთან ერთად სცხოვრობდენ, მათს ჭირსა და ლხინს იზიარებდენ. ეს მეგობრული კავშირი მით უმეტეს მკვიდრი იყო, რომ სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების მიმდევარი ჩვენში ბევრი ქართველი იყო. გარდა იმ ქართველებისა, რომლებმაც მართლმადიდებლობა არ მიიღეს და სომეხთა ეკლესიას შეუერთდნენ (უმეტესად კახეთში), თათრების შემოსევის დროსაც ბევრი ქართველი თავისი სიცოცხლისა, ოჯახისა და ქონების გადასარჩენად გრიგორიანთა სარწმუნოებას ღებულობდა, რადგან შემოსეული თათრობა სომხებს არას ერჩოდა. ეს უკვე აღიარებული ფაქტია და ამის დამამტკიცებელი საბუთი თვითონ ასეთი ქართველთა შთამომავალი გრიგორიანები არიან. მაგრამ, ვიმეორებ სომხობა ჩვენში დღეს სულ ახალს გზას დაადგა, სახელდობრ შოვინისტურ-აგრესიულს. ამ მხრივ სომხებში, განურჩევლად მდგომარეობისა და წოდებისა, საკვირველი ერთსულოვნება სუფევს. დღეს, სადაც უნდა სცხოვრობდენ სომხები, ქალაქსა თუ სოფელში ისინი თავიანთის სულისკვეთებით წარმოადგენენ ერთს განუყრელ ნაწილს დიდი სომხეთისას. ერი, ბერი, მღვდელი, მოხელე, მუშა თუ ვაჭარი ყველა ერთსულოვნად იცავს ამ პოზიციას. მათი გულისთქმაა ყოველი ნაწილი ჩვენის სამშობლოისა, სადაც კი გრიგორიანები სცხოვრობენ, პატარა სომხეთად აქციონ. რა ბედი ეწვია მესხეთს ასეთი პოლიტიკით, უკვე ვიცით.

ეხლა ჯერი გორის მაზრაზე მიდგა. როგორც გაზეთებიდან ვიცით, ამ მაზრაში მცხოვრებ გრიგორიანთა შორისაც სცდილობენ განამტკიცონ ნამდვილი სომხური სულის კვეთება. ადგილობრივ გრიგორიან სომეხთა და არა სომეხთა შემოერთების გარდა, სომხობა, როგორც მოვიხსენიეთ, ხელს უწყობს ჩვენში გადმოხვეწილთა დაბინავებას და ამ ნაირად ისედაც დიდ რიცხვს სომხებისას უმატებენ ახალ უთვალავ ძალას უსახლკარო, უბინადრო ხალხისას.

თბილისის ქალაქის თვითმართველობის მოქმედებამ აშკარად დაგვანახვა, რომ იქ სომეხთა საერთო საქმეების მოწყობას უნდებიან. სომხობა უკვე თავის-თავს კავკასიაში მცხოვრებ ერების მობაირახტრედ სთვლის და კავკასიის ცხოვრების ტრიალს სომეხთა მოქმედებას უკავშირებს. (იხილ. მამიკონიანცის სიტყვა სომეხთა ყრილობაზე მოსკოვში). ამ ნაირად გადმოსახლებულებით სომეხთა გამრავლება კავკასიის ერებს საერთოდ და კერძოდ ქართველებს დიდ საფრთხეს უმზადებს. მართალია ჩვენი მოსოციალისტე ბატონები ბრძანებენ, შოვინისტური სულის კვეთება სომეხ პლუტოკრატია-ბურჟუაზიის საქმეაო და ხალხი არაფერ შუაშიაო, მაგრამ ეს ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემცდარი აზრია. ერთი იმიტომ რომ სულიერ მისწრაფებაში, მათ შოვინისტურ სულის კვეთებაში, სრული სოლიდარობა არსებობს და გამონაკლისს არც ერთი სომეხთა ძლიერი ჯგუფი არ წარმოადგენს. მეორეც ჩვენთვის საგულისხმო როდია მხოლოდ რიცხვი პლუტოკრატია—ბურჟუა მილიონერებისა. ჩვენთვის მდაბიო ხალხის ხმა, ადგილობრივ ჩამოსახლებულთა რიცხვი და მათი ძალაა საშიში თავისი სულის კვეთებით. დარწმუნებული ვართ, რომ ეპისკოპოსს მესროპს, ჰასან ჯალალიანცს და მათ ხელის შემწყობთ მოტანილი იარაღის ხმარება თვითონ არ შეუძლიანთ და არც ესაჭიროებათ ესიარაღი. მათი სულის კვეთების და მათი იდეის განმახორციელებელი და აღმასრულებელი თვითონ ხალხია.

ქართველი ხალხი თუ დღემდის სომეხთა სულის კვეთებას ანგარიშს უწევდა, ქართველი ხილხი თუ დღემდის სომეხთა ტკივილებს იზიარებდა დღეის იქით ზურგზე წამოკიდებულ მეგობრის შხამიან კბენას ვერ გაუძლებს. კუსა და მისი მეგობარი მორიელის არ იყოს, თავის დაცვის საჭიროებით იმავ იარაღით და იმავ საშუალებით უნდა ეცადოს, რასაც სომხები უკვე კარგა ხანია ამზადებენ.

ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ რას ამზადებენ სომხები? ამაზე შემდეგ.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ბრუსილოვის არმია ისევ ტყვეების ანგარიშსა და ეპიზოდების აღწერაშია. ავსტრიელთა მარჯვენა ფრთა, როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, საშინლადაა დაზარალებული. ტყვეთა რიცხვი დღემდე 120 ათას ჯარისკაცს უდრის და 1,720 აფიცერს. დავლიდან საინტერესოა 140 ზარბაზნისა და 260 ტყვიისმფრქვეველის წამოღება. ამნაირად, ავსტრიის არმია საგრძნობლადაა დაზარალებული. რუსები უმთავრესად ცენტრს აწვებიან, უცკისა და სტრიპის მიმართულებით. შედარებით რუსთა წინსვლა შეჩერებულა ტარნოპოლის მიმართულებით. აქაო, როგორც ამბობენ რუსის სამხედრო ავტორიტეტები, ჩვენი შეჩერება გამოიწვია მეტმა სიფრთხილემ, ჯერ კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ საქმის ვითარება და შემდეგ ისე გავილაშქროთო. მაგრამ მეორე წყაროების მიხედვით ეს „შეჩერება" და „მეტი სიფრთხილე" იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ამ მიმართულებისთვის თვით გერმანელებს დიდი ყურადღება მიუქცევიათ და საკმაოდ ძლიერი ჯარებისთვის მოუყრიათ თავი.

კავკასიის ასპარეზიდან მხოლოდ ერთი მხრის ამბავი მოვიდა: ბაღდადისა. აქეთ, ამ მიმართულებით ოსმალთ საკმაო ძალებით მოუტანიათ იერიში, მაგრამ რუსებს მათი შეჩერება მოუხერხებიათ. რა ხდება სხვა მიმართულებით, არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში აგერ ეს სამი დღეა დეპეშის ცნობა არ მოსულა.

ვერდენის კრიზისიც დასრულების პერიოდშია. შედარებით მეტად მცირე ამბებილა აღწევენ ჩვენამდე, მაგრამ კილოდან სჩანს, რომ მდგომარეობა სერიოზულია. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები არტილერიის ცეცხლში ახვევენ ტიომონის სიმაგრის ჩრდილო პოზიციებს, ვოს ტყეში, შაპიტრს და ფორტს ვოს, თუმცა იერიშები ქვეითა ჯარს ჯერ არ მიუტანიათ.

იტალეთის ასპარეზზე ნელნელ როლები იცვლება. იტალიელებს კონტრიერიშები ახლა ნამდვილ იერიშებზე გადააქვთ და ბევრს ადგილას კიდეც ახევინებენ ავსტრიელთ.

დანარჩენ ასპარეზზე შესამჩნევი არა მომხდარა რა.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი**, 1 თიბათ. ოფიციალი. **დასავლეთის ასპარეზი.** პოლესიის სამხრეთით რუმინეთის საზღვრებამდე ჩვენი ჯარი მტერს უკან ახევინებს. გუშინ ტყვედ ვიგდეთ 6,000 ჯარისკაცი, 200 აფიცერი. გარდა ამისა წამოვიღეთ 6 ზარბაზანი, 10 ტყვისმტყორცნელი და მრავალი ყუთი ტყვია-წამლით.

დღემდე ტყვეთა რიცხვს შეადგენს 120,000 ჯარისკაცი და 1,720 აფიცერი. ხელთ ვიგდეთ 130 ზარბაზანი და 260 ტყვიისმტყორცნელი. მტრის ჯარის ზოგიერთა ნაწილი სულ მთლად დავშალეთ, რასაც ის მოწმობს, რომ გენ. შჩერბაჩევის ჯარის ბრძოლის დროს შედარებით მცირე მანძილზე ხელთ ვიგდეთ 41 აფიცერი, 17,000 ჯარისკაცი, 29 ზარბაზანი, 35 ტყვიისმტყორცნელი, 56 ყუთი ტყვია-წამლით და მრავალი სხვა სამხედრო დავლა. მტერმა უკან დაწევის დროს მრავალი დავლა დასტოვა, რის აღნუსხვაც მცირე ხანში შეუძლებელია. ვლადიმირ-ვოლინსკის მიმართულებით მტერმა მკაცრი წინააღმდეგობა გაგვიწია. სოფ. ზატურცის დასავლეთით ბრძოლაა (ლუცკსა და ვლადიმირ-ვოლინკს შუა). ყაზახთა ცხენოსანმა ზატურცევის მიდამოებში მტრის ესკადრონი აჰკუწა. დუბნოს დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერი უკუაგდო და სოფ. დემიდოვკის წინ წაიწია, დუბნოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ სოფ. კოზინი. ბუჩაჩის ჩრდილოეთით სტრიპის მარჯვენა ნაპირის მიდამოებში მტერმა მკაცრი იერიში მოიტანა. გუშინდელ ბრძოლაში ამ ადგილებშიაც წინ წავიწიეთ და გაივორონკა-ბობულინცეს მიდამოებში დასავლეთ ნაპირის სიმაღლეები ხელთ ვიგდეთ. დნესტრის სამხრეთით დავიჭირეთ ქ. სნიატინი. მდ. დვინის ასპარეზს გერმანელებმა იკსკიულის სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინეს.

სმორგონის სამხრეთით მოვიგერიეთ მტრის რაზმი, რომელიც ღამობდა ჩვენ თხრილებს მოახლოვებოდა. ბარანოვიჩის და პოლესიის სამხრეთით მიდამოებში გუშინ რამდენჯერმე მოგვიხდა მტრის ძლიერ რაზმებთან შეტაკება.

**კავკასიის ასპარეზი.** ბაღდადის მიმართულებით მტრის ძლიერი ძალის შეტევა შევაჩერეთ.

**პარიზი**, 31 მაისი. დღის ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირზე გუშინ, გერმანელებმა იერიში განაახლეს და ტიომონის ფერმის დასავლეთით ზოგიერთ წაწეულ თხრილებში შეიჭრნენ „321" სიმაღლის აღმოსავლეთ ქედებზე მოპირდაპირის იერიშები მალე მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე, სშატაკურას მიდამოებში, არტილერია მოქმედობს.

საღამოს ოფიციალი ცნობა. ვერდენის ჩრდილოეთ-ასპარეზზე ქვეითა ჯარს სრულებით არ უმოქმედია. მაასის დასავლეთით და აღმოსავლეთის სხვა და სხვა უბნებში საარტილერიო ბრძოლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში დღემ წყნარად ჩაიარა.

**ჰავრი**, ბელგეთის ცნობა. ბელგეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი**. 1 ივნისი. დღის ცნობა. უაზის და ენის შუა, მულგან-სეტუვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თოფის სროლით გერმანელების მედგარი შეტევა შევაჩერეთ.

ვენიცელის მიდამოებში, სუასონის აღმოსავლეთით ფრანგებმა გერმანელთა მცირე საყარაულო ჩაიგდეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე, მთელი ღამის განმავლობაში გერმანელები მედგრად უშენდნენ ფრანგების სანგრებს, ტიომონის ჩრდილოეთით, ვოს ტყეში, და სხ. ქვეითის მოქმედება მაინც არა ყოფილა. მდინარის მარცხენა ნაპირზე დრო გამოშვებით არტილერია ჰმოქმედობს. ვოგეზებში, ფრანგები დაეცნენ სენეენის სამხრეთით ულელტეხილს და ტყვეები წამოიყვანეს.

**რომი**, 81 მაისი. იტალიის ადიჯეს და ბრენტოს შუა არტილერიამ უკიდურესობამდე მიაღწია. მიუხედავად მოპირდაპირის ძლიერი წინააღმდეგობისა, ჩვენ მედგრად მივიწევდით წინ. რიო-რიომონის მიმდინარეობით, ჩიმა-დი-ვეცანოს აღმოსავლეთით, საარტილერიო მზადების შემდეგ იერიშით ავიღეთ მოპირდაპირისგან გამაგრებული ხაზი. მტერმა აქაც რამდენჯერმე იერიშები მოიტანა, მაგრამ უკუ-ვაქციეთ. პოზინო-ასტიკოს ასპარეზედ ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. მოლიზიდან მოპირდაპირის ქვეითი ჯარი გავდევნეთ და ზარბაზნები დაუშინეთ. აზიაგოს და პოლოს მიდამოებში მდგომარეობა უცვლელია. სუგანოს ღელეში, 30 მაისს, ღამით, მაზოს აღმოსავლეთით მოპირდაპირის რაზმები გავფანტეთ. კარნიაში და იზონცოზე არტილერია და მცირე რაზმები ჩვეულებრივად მოქმედებს.

**ლონდონი**, 31 მაისი. შტაბის ცნობა. ძლიერი იერიშების შემდეგ, რომელიც კანადელმა ჯარმა მიიტანა, გუშინ, ზილებეკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ძველი თხრილები დავიბრუნეთ და 126 კაცი დავატყვევეთ. მოპირდაპირის არტილერია მედგრად უშენდა კანადელებს ზარბაზნებს, მაგრამ იგინი მტკიცედ იდგნენ. ჩვენი არტილერიაც მედგრად უპასუხებდა. გუშინ, იპრის მიდამოებში რამდენიმე თხრილი ავიღეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანელები კიტჩენერის შესახებ.**

გერმანელების პრესა კიტჩენერის მოღვაწეობას დიდ მნიშვნელობას აძლევს. „ბერლინერ ტაგებლატ" სწერს: კიტჩენერი იშვიათად მოქმედობდა, მაგრამ ყოველივე მის მოქმედებას წინასწარმეტყველის დაღი აზის. პირველად მან იწინასწარმეტყველა ომის გაგრძელება. მან კარგად იცოდა, რომ გერმანეთს მხოლოდ სიმშილი შეასუსტებს და ამისთვის ცდილობდა გზები შეეკრა და გერმანეთისთვის სიმშილით მოეღო ბოლო. იგი გარდაიცვალა როგორც უბრალო მეომარი. ჩვენ ვივიწყებთ მტრობას მისდამი და მის ხსოვნას პატივისცემით აღვნიშნავთ.

**ვერდენი.**

გაზეთი „ტაიმსი" სწერს: გერმანელებმა აიღეს ვო და ამით ვერდენის სიმაგრეს მიუახლოვდნენ. საქმის ასეთს მდგომარეობას არა ვმალავთ და აშკარად ვაღიარებთ. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის ზარალიც, რომელიც გადაჰხდათ გერმანელებს. გამარჯვების საფასური მეტად დიდია, მაგრამ ადრევე ნავარაუდევი გერმანელებისგან. მართალია, ვერდენისკენ მიმავალი გზები მოფენილია გერმანელ მეომართა ძვლებით, მაგრამ ეს უგუნურებით არ მოჰსვლიათ.

პარიზის სამხედრო მიმომხილველნი ამბობენ, რომ ვერდენის ასაღებად გერმანელებმა უპირველესად სუვილის სიმაგრე უნდა აიღონ.

**პურის მოსავალი გერმანეთში.**

„ნორდ. ალგემ. ცაიტუნგ"-ი სწერს: თანახმად ოფიციალის სტატისტიკისა 1915 წელს ჭვავის მოსავალი გერმანეთში 9,152,402 ტონი იყო, ხორბლისა—3,855,841 ტონი (ტონი 62 ფუთია), რაიცა 13,008,243 ტონს შეადგენს. უკანასკნელი მშვიდობიანი წლის (1913 წლის) მოსავალი ასეთია: მოვიდა 12,222,394 ტონი ჭვავის პური და 4,665,956 ტონი ხორბალი. მისი საერთო ჯამი 16,878,350 ტონია, ე. ი. 1915 წლის მოსავალი გერმანეთში 4,000,000 ტონით ნაკლებია 1913 წლისაზე. გარდა ამისა, 1913 წელს გერმანეთმა სხვა სახელმწიფოთაგან ნახევარი მილიონი ტონი შემოიტანა. 1914 წ. მოსავალი 1913 წლის მოსავალზე $1^1/_2$ მილიონ ტონით მეტია.

1913 წელს პურის მოსავალი 10 მილიონ ტონს უდრიდა, 1915 წელს—5,986,034 ტონს. ამნაირად, მთავრობის ცნობით, 1915 წელს საკვები პურის მოსავალი 9 მილიონით ნაკლები იყო. გერმანეთს დიდი განსაცდელი ელოდა რუმინეთი რომ არ მიჰშველებოდა. როგორც სტოკჰოლმის გაზეთი „ფოს. ცაიტუნგ" გადმოგვცემს, 1916 წლის პირველ მეოთხედში რუმინეთს გერმანეთში 8,000 ტონი ჭვავის პური და ფქვილი შეუტანია 163,000 ტონის მაგივრად, რომელიც შეიტანა 1915 წლის პირველ სამ თვეში. გაზეთის აზრით რუმინეთიდან გამოტანილი პური დღეს მილიონ ნახევარ ტონს აღწევს.

**დვინსკის ასპარეზი.**

იაკობშტატის მიდამოებში გერმანელებმა ზარბაზნები აამუშავეს, რის შემდეგაც მათი ქვეითა ჯარი შეეცადა მიახლოვებოდა რუსების თხრილებს. რუსებმაც მალე უპასუხეს ზარბაზნებით და უკუაგდეს. ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელებმა დაიწყეს სულის შემხუთველი გაზების ხმარება. ხშირად ეს გაზები თვითონ გერმანელებს დიდ ზიანს აყენებს. ამავ ადგილებში გერმანელთა მფრინავებიც ამოქმედდნენ და ხშირად ყუმბარებსაც ჰყრიან.

გერმანელთა არტილერია რიგა-ორლოვის რკინის გზის ლიანდაგს უშენს ყუმბარებს, მაგრამ დღემდე ამ ადგილებში ცვლილება არა მომხდარა რა.

სვენციანის მიდამოებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

**გერმანელთა შიში.**

სამხრეთ-დასავლეთიო რუსთა გამარჯვება მთელ რიგის ასპარეზს მოედო, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია რუსებში, ხოლო გერმანელები საგონებელში ჩააგდო და დიდ სიფრთხილეს იჩენენ. მინსკიდან იტყობინებიან: გერმანელები მთელ ასპარეზზე სიფრთხილეს იჩენენ, რის გამოც მზვერავთა რაზმები გააძლიერეს. გარდა ამისა ღამ-ღამობით ბრძოლის ხაზს პროჟექტორებით ანათებენ, რასაც ხშირად ზარბაზნის სროლა მოსდევს ხოლმე. აქვე მხნედ მოქმედებენ გერმანელების მფრინავები, რომლებიც დასაზვერად იგზავნებიან.

**რუმინეთი.**

ბულგარეთის მთავრობამ ოფიციალი ცნობა გაუგზავნა რუმინეთს: რუშჩუკსა და დჟურჯევოს შუა შეწყვეტილი იქმნება სავაჭრო გემთა მიმოსვლა. ამგვარმა ცნობამ მთელ მხარეში შიში გამოიწვია, ყველა ფიქრობდა, რომ რუმინეთსა და ბულგარეთს შორის შესწყდებოდა ურთიერთობა. როგორც გამოირკვა ამგვარი განკარგულება გამოწვეულია იმით, რომ ბულგარელებმა დიდძალი ჯარი გადაიყვანეს რუმინეთის საზღვრებისაკენ. ბულგარელებმა მრავალი იარაღი და სურსათიც გადაიტანეს.

**ბალკანეთის ასპარეზი.**

ლონდონიდან იტყობინებიან: ბულგარელთა და მოკავშირეთა რაზმებს შორის ხშირ-ხშირად ხდება შეტაკებანი. კუპთან ბრძოლა მოხდა, რომელიც თითქმის ერთი საათი გააგრძელდა. ბულგარელებმა უკან დაიხიეს, თუმცა ამ ადგილას შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

**საბერძნეთი.**

ათინაში პოლიტიკური მდგომარეობა ისევ სერიოზულია. მოკავშირეთა მიერ საბერძნეთის ნაპირების ბლოკადა ისევ გრძელდება. საბერძნეთის მეფე და მთავრობა ლარისაში გადავიდნენ. სარწმუნო წყაროების მიხედვით, მოკავშირეებმა გადასწყვიტეს ათინაში ჩააბარონ ნოტა ულტიმატუმის ფორმით და სხვა და სხვა მოთხოვნილებანი წარუდგინონ. მოთხოვნილებანი მალე უნდა ასრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი შესაფერ ზომებს მიჰმართავენ. ათინიდან მოსულის ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ აღმოსავლეთ მაკედონიიდან არტილერია და სამხედრო მასალა დრამაში და სერეში გაჰგზავნა. საზღვაო მინისტრად ნამყოფმა დეპუტატმა სტრათოსმა შეურაცხყოფილად იცნო თავი და ვენიზელოსს სეკუნდანტები მიუგზავნა.

**რუმინეთში.**

ლონდონიდან იტყობინებიან: რუმინეთმა საიდუმლო მობილიზაცია გამოაცხადა. ბულგარეთის განკარგულებით მგზავრთათვის და საქონლისთვის რუმინეთის საზღვრები დაკეტილია. მიზეზი არაა ნათლად გამორკვეული, შეიძლება მასზედ რუსების გამარჯვებამ შთაბეჭდილება მოახდინა.

**იტალიის ტრანსპორტის დაღუპვა**

„სტეფანის" სააგენტო იტყობინება: გუშინ საღამოთი მტრის 2 წყალქვეშა ადრიატიკის ზღვაში იტალიელთა ტრანსპორტს თავსდაესხა, რომელიც 3 გემისაგან შესდგებოდა. ჯარის გარდა გემებით საომარი იარაღიც გადაჰქონდათ. გემებს თან ახლდათ კონტრნაღმოსნები.

წყალქვეშამ მოასწრო ნაღმის გაშვება, რომელიც გემ „პრინ. ურბერტოს" მოჰხვდა. გემი უცბად ჩაიძირა. დაღუპულ გემს სხვა გემები მიეშველნენ, მაგრამ გვიანღა იყო, ჯარი ნახევარზე მეტი დაიღუპა.

**გერმანეთი და რუმინეთი.**

„ფოს. გაზეთი" სწერს: 1916 წ. პირველ სამი თვის განმავლობაში გერმანეთს რუმინეთიდან გაუტანია 49,600,000 ფუთი ფქვილი, ჭვავი და ქატო. შარშან კი ამავე დროს გაუტანიათ 10,106,000 ფუთი, ე. ი. ხუთჯერ ნაკლები. გაზეთები ირწმუნებიან, რომ მაისის გასულს გერმანეთი რუმინეთიდან კვლავ გაიტანს 62 მილიონ ფუთს.

ამგვარად, დასძენს გაზეთი „ნოვოე ვრემია" გერმანეთს შეუძლიან არცა თესოს, არც მოხნას, თავს კი მაინც გამოიკვებავს „ნეიტრალ" რუმინეთის წყალობით.

## ჩვენ და ჩვენი მრეწველობა ჭიათურაში

(გაკვრით)

ჩვენ ქვეყანაში პირველ მსხვილ სააღებმიცემო დასაწყისის ხანათ, ჭიათურაში შავი ქვის აღმოჩენა და მისი მრეწველობა უნდა ჩაითვალოს. შედარებით სხვა წარმოებასთან, მანამდინაც და ეხლაც არის ჩვენში სატყეო წარმოება, რითაც ჩვენი მხარე საკმაოდ მდიდარია, მაგრამ წარმოების ამ დარგმა ფართო ხასიათი ვერ მიიღო, რადგანაც მის განვითარებას ელობებოდა და ახლაც ელობება უგზოობა და სიშორე, როგორც ადგილობრივ მომხმარებელთა ისე შორს ბაზარზე გასატანათ და უმთავრესი მიზეზი კი მისი წარმოებაა. ამ წარმოების საქმეს ჩვენში ისევ და ისევ წყალი ასრულებს და რადგანაც ყველა წყლები ჩვენში მუდმივ ზიდავს ხეს, ამიტომ, თუმცა ამ მასალის მოთხოვნილება მუდმივია და ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლადაც იმატა. მაგრამ ამ ზემოთ დასახელებულს მიზეზებს უნდა მივაწეროთ, რომ ამ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ასეთმა ხანგამოშვებითმა წარმოებამ ვერც ადგილობრივ მკვიდრთ შეძინა რამე. უცხო კაპიტალმაც ვერ მოიდგა ფეხი და აშკარაა ასეთ პირობებში შეუძლებელიც იქნებოდა ასეთ მრეწველობას ფართე ხასიათი მისცემოდა. საუბედუროთ ასეთ არევდარევაში ჩვენ ქვეყანაში აუარებელი ტყეები განადგურდა, მისი ნაკლულევანება საგრძნობელიც შეიქნა და მოსალოდნელია სულ მალე თვით მის მეპატრონეთ და ადგილობრივ მკვიდრთაც საშინაო საჭირო მასალის შეძენაც გაუჭირდეთ.

ამ მხრივ შავი ქვის წარმოებას უპირატესობა უნდა ვაკუთვნოთ, თუმცა უგზოობა, ქართველური დაუდევრობა, საქმის უცოდინარობა და სხვა ასეთები მანაც განიცადა. ამის ნაყოფიცაა ამ ბოლო ხანებში უცხოთა მფლობელობის შექმნა ჭიათურაში, მაგრამ წარმოებამ თავიდანვე ფართე ხასიათი მიიღო. შავი ქვა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ევროპის სახელმწიფოებისათვის და რადგანაც სხვაგან ვერსად შოულობენ ასე უხვათ და მუქთად, უცხო კაპიტალმა და მცოდნე პირებმა ადრევე მოჰკიდეს აქ ექსპლოატაციას ხელი. წინა ხანებში ევროპიელი ასრულებდა „ექსპლოატატორის" როლს და სულაც არ ცდილობდა მფლობელობითი სისტემა ეწარმოებინა, მაგრამ დროთა განმავლობაში შემოხიზნულებმა ალღო აუღეს თვით წარმოების საჭიროებასაც; თუ მანამდი დამზადებული საქონლის მყიდველ-გამგზავნი იყო, შემდეგ კი თანდათანობით მადა გაეღვიძა საკუთრების შეძენისა. რაკი რუსეთის კანონები ისეთი გულუხვია, რომ საამისო უფლებას ყველას ანიჭებს, ისინიც თანდათანობით შეუდგენ მფლობელობითი სისტემის განხორციელებას.

ადგილობრივმა მემამულემ ვერ დააფასა თავისი ადგილი. იმან თვით არ იცოდა რა ღირდა ეს მიწის ქვეშ დამარხული განძი და ამიტომ რაც ფასი დაუდვა მყიდველმა, ის გაიხადა მაზანდათ. უნდა შევნიშნოთ, რომ ადგილობრივ მემამულეთა მეტი ნაწილი თავიდანვე მოკლებული იყო წარმოების უნარს. ესენი თავიდანვე იჯარით აძლევდენ თავიანთ მამულებს დასამუშავებლათ. და ამიტომაც მოხდა რომ მოიჯარადრეობას მიჩვეულ მრეწველთათვის, ყიდვის სურვილი დახშული იყო და ამ მოიჯარადრე-მრეწველთა უმეტესობა უფრო დროებითი მწარმოებელი იყო ჭიათურაში. ასე ვთქვათ დროს ამყოლი: იქნებოდა ქვის მოთხოვნილება, იყო ხელსაყრელი მისი წარმოება, ებღაუჭებოდა იმას, რადგანაც მისი წარმოება იმხანად არც ისე დიდ თანხას თხოულობდა; არა და ადვილად მიატოვებდა და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს. ასეთმა მოსიარულობამ, ჭიათურის წარმოებას დიდი ზარალი მიაყენა. ადგილობრივი მრეწველნი ვერ შეკავშირდნენ თავიდანვე ასეთი მოსიარულეობის წყალობით; ვერ მიიღეს გარკვეული გზა თავიანთ სამოქმედოთ. საქმე ვერ დააყენეს რომ თავიანთი ძვირფასი ქონება თვითონვე დაემუშავებიათ, აეყვავებიათ და ღირსეული ფასი დაედვათ მისთვის. მართალია ამისი მიზეზი დროგამოშვებითი კრიზისიც იყო შავი ქვის წარმოებაში, რაიც ნაყოფია იმისი, რომ შავი-ქვის ბაზარზე გატანა მისს მოთხოვნილებას აჭარბებს და აჭარბებს მიტომ, რომ ამ საქონელს ვამზადებთ ყოველთვის მოთხოვნილებაზე მეტს და თვით ადგილობრივი წარმოების ორგანიზაცია თავიდანვე ვერ მოეწყო და არც ვფიქრობ ამ მხრივ ან ეხლაც გარიგდეს რამე.

ამავე დროს შავი ქვის წარმოება, მისი აღმოჩენის დღიდან, თანდათან იზდება და წინა წლებში თუ 500,000 და 800 ათასი ფუთი ძლივს გადიოდა, შემდეგ მისი გატანა ასეულ მილიონებზე გადავიდა და უკანასკნელ წლებში, როგორც ვიცით 60—80 მილიონამდე მიაღწია. ჭიათურის შავი ქვა, მისი აღმოჩენის დღიდან, დაახლოვებით ამ 35 წლის განმავლობაში, გატანილი იქნება არა ნაკლები ათასი მილიონისა, მაგრამ ასეთმა დიდმა ციფრმა სრულებითაც ვერ შეასუსტა მისი რაოდენობა და უნდა ვიფიქროთ, რომ მსოფლიო ბაზარს კიდევ მისცემს იგი არა ნაკლებ ათ თუთხმეტ მილიარდ ფუთს.

ასეთმა ზდამ შავი ქვის მოთხოვნილებისამ და ადგილობრივ მრეწველმემამულეთა უორგანიზაციობამ და დაუდევრობამ, დიდი ცვლილება შეიტანა შავი ქვის წარმოებაში: ტეხნიკური მხარე წარმოებისა საგრძნობლათ გაუმჯობესდა; იგი თან და თანობით ჰკარგავდა პირველ სახეს და ევროპის ტეხნიკის გემოვნებაზე დგებოდა. ამის შედეგია ჭიათურაში შავი ქვის სარეცხი ქარხნები, თუ წინათ სანახევროთ მიწა იგზავნებოდა და ამით მომხმარებელი უფრთხოდა ჩვენს ქვას, სარეცხმა ქარხნებმა, ეს თავიდანააშორა წარმოებას და ჩვენს საქონელს მუდმივი ბაზარი მოუპოვა. ამავე დროს ის უვარგისი საქონელი, რაც ჩვენთვის ღირებულებას ჰკარგავდა და უვარგისი გვეგონა, სალი გამოდგა და გარეცხის წყალობით რამდენიმე ასეული მილიონი ფუთი ქვა შემატა მომხმარებელს. წარმოება საკმაო ცვლილება შეიტანა მექანიკურ ჩამოსაშვებთა გამრავლებამ; ჭიათურაში ქვის ჩამოზიდვაში ადამიანის ხელთან ერთად აუარებელი მომუშავე საქონელი ღებულობდა მონაწილეობას, მართალია ასეთმა გაუმჯობესობამ თან და თან შეამცირა მუშა ხელის მოთხოვნილება, მაგრამ სამაგიეროთ მშრომელი ხალხის უსაქმოდ დარჩენილი ნაწილი ისევ სოფლად მეურნეობას დაუბრუნდა ხოლო საქმეზე დარჩენილთ უფრო გამორკვეული სახე მიეცა და თუმცა ის წარმოებაზე მიჯაჭვული დარჩა, მაგრამ უფრო ხელსაყრელ პირობებში.

ასეთს თანდათანობით განვითარებას ვხედავთ წარმოებაში იმ ხნებიდან, როცა 1892 წ. პირველათ დაიკივლა ჭიათურის არე-მარეზე ორთქლ-მავალმა და აუარებელ ოთხ-ფეხ მზიდავთა საქიშპოდ, ჩამოატარა ყვირილის ვიწრო ხეობაზე, ქვით დატვირთული პატარ-პატარა ვაგონები. წინეთ, თუ ჭიათურის შავი-ქვის წარმობაც დრო გამოშვებითი იყო უგზოობისა გამო ამხანად სულ სხვასა ვხედავთ: წარმოება-ქვის გაზიდვის საქმე უკვე მოწყობილია და მუდმივი მისი მიწოდება მომხმარებელთან უზრუნველყოფილი, მაგრამ თვით წარმოების მუდმივობასაც ამოუჩნდა თავისი მიზეზები. ეს როგორც მოგახსენეთ იყო შავიქვის სიმრავლე, საჭიროზე ზედმეტის დამზადება, რასაც უნდა მივაწეროთ დროგამოშვებითი კრიზისები ე. ი. მოთხოვნილების შემცირება და უფრო კი ფასის დაცემა, თუმცა გაზიდვა არც როდის არ შეჩერებულა და ეს ჩვენი საქონელი, როგორც სიძვირის დროს ისე სიიაფის დროსაც სჭირდებოდათ. საქმე ისე ვერ მოვაწყვეთ მრეწველებმა, რომ წარმოების ასეთ ცვალებადობისათვის ბოლო მოგვეღო, თუმცა ეს შესაძლებელი იყო და იყო მით, რომ საქონელი უნდა დაგვემზადებინა მოთხოვნილების მიხედვით და გადაჭრილი ფასიც დაგვედვა. ამ მხრივ ჩვენ უბრალო ვაჭრებმა გვაჯობეს, ბოდიშს ვიხდი, გვაჯობეს მეფურნეებმა და მეწვრიმალე-მეწვანილეებმა.

წარმოებაში ტეხნიკის გაუმჯობესებით, როგორც მახსოვს არ იყვენ წინა ხანებში კმაყოფილი ზოგი ჩვენი მოღვაწენი; ისინი ფიქრობდნენ: ის ფული რომელიც სოფლელთ რჩებათ ხელიდან გამოეცლებათო, მაგრამ ეს არ გამართლდა ცხოვრებაში. ჩვენ ვიცით მეტი გაჭირვება იმ დროისა, როცა ბრმა წარმოება იყო, მართალია ფულის სიმრავლე იყო, მაგრამ ასეთ ფულს ყველგან მახე ეგო და სარგებლობდენ ისევ ის ვაჭპატონები, ვინაც ხაფანგებს აგებდენ ასეთ დროებით მომუშავე ხალხის სასიარულო გზებზე. თვითონ სოფელი კი ისევ გამოფიტული რჩებოდა მუშა ხელის ნაკლებობით. აგრეთვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაუმჯობესებული ტეხნიკით ქვის დამზადება იაფიც დაჯდა. ვფიქრობთ ამანაც ხელი შეუწყო ჩვენ შავ-ქვას გაეწია მეტოქეობა სხვა ქვეყნის შავიქვისათვის.

შავ ქვას მომავალი აუცილებლათ ბრწყინვალე აქვს; უმისობა მსოფლიო ბაზარზე უპურობა—უჰაერობას უდრის და ეს არა მარტო იმ დროს, როცა ევროპის სახელმწიფოები ადამიანთა საჟლეტ აუარებელ იარაღს ამზადებენ, არამედ მშვიდობიანობის დროსაც, რადგანაც მშვიდობიანობის დამყარება იწვევს ეკონომიურ ზრდა-განვითარებას.

წარსული, თუ წარსულს აბარია მომავალი ხომ წინ გვიდევს და ჭიათურის საქმეც არც ისე დაღუპულია, როგორც ვწუწუნებთ. საქმის გამოკეთება კიდევ შეიძლება. მაგრამ ამას ვერ შევძლებთ? ევროპის კაპიტალს მთელი ჭიათურა არ გადაუყლაპავს, შავი ქვიანი ადგილები კიდევ ბევრია, მაგრამ ნათქვამია შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს და რაკი ჩვენ შავ ქვას კიდევ ღირსეულად ვერ ვაფა-

როდის მოეღება ამგვარ საქციელს ბოლო? კითხულობს „ნოვ. ვრემია“.

**გერმანელთა მზადება რუსეთის ასპარეზზე**

როგორც იტყობინებიან „მორნინგ პოსტ“ და „დაილუ გრ.“ უკანასკნელ თვეში, რუსეთის ასპარეზის ჩრდილო-ნაწილებში გერმანელებმა დიდძალი ჯარი გადმოიყვანეს და გამუდმებით ეზიდებიან სამხედრო მასალას. ჩერვონცაში ჰუნგრელ ჯარის მაგივრად, გერმანელები ჩადგნენ. ყველა ეს ამტკიცებს რომ ახლო მომავალში იგინი დიდი ბრძოლისათვის ემზადებიან.

**გაზ. „საქართველო“-ს კანტორა ხელის მომწერთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მისამართის გამოსაცვლელად საჭიროა წარმოადგინონ ათი შაური.**

# ახალი ამბავი

**სასახლეში.** მეფის ნაცვლის მეუღლეს დიდ მთავარ ანასტასია ნიკოლოზის ასულს და მათ უმაღლესობის დას მილიცა ნიკოლოზის ასულს წარუდგა სადარბაზოდ აკადემიკოსი ნ. ი. მარრი.

✦ **სამხედრო ტაძარში** გუშინ 2 ივნისს გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი რუსეთის მხედრობის გამარჯვების გამო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე. პარაკლისს დაესწრო მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმაღლეს ოჯახობით, ამალით და ყველა წოდების წარჩინებული პირნი.

✦ **ფოთ-ოჩემჩირის გზა.** უმაღლეს მთავრობის ნებართვით ინჟ. ტოკარსკის ნება დართეს გამოკვლევა მოახდინოს ფოთ-ოჩემჩირის გზის გასაყვანად; ამ გზით ტყვარჩელის ნახშირი უნდა გადაიზიდოს.

✦ **ილორის ტაძრის საქმე** რომელიც ჯერ ისევ ყოფილ ექსარხოსის პიტირიმეს დროს დაიწყო ამ ჟამად დამთავრდა. მღ. მაჯგანაძის დატოვების შესახებ აღძრული შუამდგომლობა სახელმწიფო სათათბიროს წევრის ა. ჩხენკელის მიერ არ შეიწყნარა სასულიერო უწყებამ. იგი გადაყვანილ იქმნა ს. მუხუროში; მის ადგილას დანიშნულ იქმნა მღ. მარღანია, კარგათ ცნობილი თავისი მოღვაწეობით.

✦ **სამხედრო სესხზე** ხელის მოწერა დამთავრდა. დაახლოებით სულ $9^1/_2$ მილიონ მანეთზე მოაწერეს ხელი. ამ ჟამად სახელმწიფო ბანკის ყველა დაწესებულებებში, წვრილ საკრედიტო ამხანაგობებში და შემნახველ-გამსესხებელ კასებში დაიწყო გასყიდვა ამ სესხის ობლიგაციებისა 25 მანეთად.

✦ **აკადემიკი ნ. ი. მარრი** თბილისში რამდენიმე დღე დაჰყოფს და შემდეგ მიემგზავრება სვანეთს.

✦ **საანკეტო ფურცლები.** საქართველოს ექსარხოსის და თბ. გუბერნიის თ-დ აზნ. წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აბხაზის სახელით ქალაქის ყველა საავადმყოფოებს დაეგზავნათ საანკეტო ფურცლები გამოსარკვევად იმ დავრდომილთა ვინაობისა, რომელნიც უნდა მოთავსებულ იქმნენ მომავალ თავშესაფარში, თბილისში მირზოევის სახლში. თავშესაფარი 100 სულისთვის არის განზრახული. თავშესაფართან სახელოსნოებიც მოეწყობა.

✦ **თბ. სამხედრო ბეგრის საკრებულო** დღეიდან დაიწყებს ჯარში გაწვეულ სტუდენტების შემოწმებას. 1 თიბათვეს სამხედრო საკრებულომ დაამთავრა შემოწმება 1918 წ. და 1916 წ. ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა.

✦ **საქართველოს ექსარხოსმა** პეტროგრადიდან დეპეშით მოულოცა დეკანოზს მარკოზ ტყემალაძეს მიტრით დაჯილდოება.

✦ **საქართველოს მონასტრების** კეთილ მოწესრიგე არქ. ნაზარი ქუთაისიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ **ჩელიშის მონასტრის** (ქუთაისის მაზრა) გამგეთ დაინიშნა ხაზინადარი მოწამეთის მონასტრისა მღ.-მონ. პავლე.

✦ **თბილისის საპოლიტეხნიკო კურსების** საალმშენებლო ნაწილი დაამთავრეს: გიორგი დ. ბეჟანიშვილმა, მიხეილ ს. ქომურჯიშვილმა, იოსებ მ. კანდელაკმა, გიორგი მაისაშვილმა, ანტონ ა. სვანიძემ და მიხეილ მ. ჭელიძემ.

✦ **ჭლექთან მებრძოლ საზოგ.** კავკ. განყოფილებაში ქალაქმა თავის წარმომადგენლებად დანიშნა ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი და ინჟ. მ. ნ. ნეპრინცევი.

✦ **ბრძოლის ველზე** ხოლერით გარდაცვლილ თ-დ ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის სულის მოსახსენებლად გუშინ ქვაშვეთის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი თავად აზნაურობისა და მრავალი პატივისმცემელნი განსვენებულისა.

✦ **პრივატ-დოცენტი ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი** ამ მოკლე ხანში ლექციას წაიკითხავს თბილისში. გუშინდელ ცნობებში შეცდომით იყო დაბეჭდილი სარაჯიშვილი.

✦ **დღეს,** „ნაკადულის“ რედაქციაში დანიშნულია კრება **ირ. ევდოშვილის დამკრძალველ ბიუროსი.**

✦ **მდაბიო მოქალაქეთა შორის.** დღეს მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის ბინაზე დანიშნულია მოქალაქეთა კრება, მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ **ნიხრი.** თბ. გუბერნატორმა დაამტკიცა ნიხრი ქ. დუშეთისა. თანახმად ამ ნიხრისა 1 ხარისხის პურზე 8 კაპ. დაწესდა, ძროხის ხორცზე 25 კ. ცხვრისაზე 30 კაპ.

✦ **სასწავლებელში.** ქალთა მეორე გიმნაზიის 7 კლასი დაამთავრა შემდეგ ქართველ ქალებმა. ნ. კვინიხიძემ, ბ. მაჰავარიანმა, ელ. მირიანიშვილმა, მ. სხირტლაძემ, ელ. ახვლედიანმა, ექ. ჯაფარიძემ, ნ. კარბელაშვილმა, ელ. კარბელაშვილმა, მ. ნაცვლიშვილმა, ნ. ხარაძემ. ფარადაშვილმა და ნ. ციციშვილმა.

რვა კლასი: მ. ლასხიშვილმა, ნ. ციცქიშვილმა, ნ. დავითაშვილმა, ელ. ეფრემიძემ, ა. კალანდარაშვილმა. თ. მახვილაძემ, თ. თავაძემ და ნ. ხახუტაშვილმა.

— ქალთა მეხუთე გიმნაზიის 7 კლასი: მ. ვაჩნაძემ, ქ. ქიქოძემ, თ. ლატიშვილმა, მ. თუშიშვილმა, ელ. ხუნდაძემ, ნ. ცაციშვილმა და მ. ჩაჩუამ.

— ვაჟთა პირველ საკომერციო სასწავლებელში ექსტერნად დაიჭირა და მიიღო სიმწიფის მოწმობა ერთმა ქართველმა, გ. ი. კანდელაკმა.

✦ **ქალაქის დაწესებულებათა დათვალიერება.** კვირას, 5 თიბათვეს, ქალაქის საბჭოს ხმოსნები გამგეობის წევრებთან ერთად დაათვალიერებენ: ქალაქის ლომბარდს, ვერის მოედანს, ქალაქის სანერგეს და ტრამვაის პარკს, წყალ-სადენის დიდ აუზს და ხუდადოვის სახელობის ტყეს.

✦ **ბოტანიკური ბაღი** მაისის განმავლობაში 29,000 სულს დაუთვალიერებია. პირველ იანვრიდან კი 68,000 სულს.

✦ **ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის** სამზრუნველო საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ: ს. თ. ხუნდაძე, ზ. ნ. ზორიანი, ა. ს. ბაბოვი და ს. გ. ალდადანოვი.

✦ **სამსახური** ქალაქის გამგეობაში და სხვა და სხვა დაწესებულებებში პირველ თიბათვიდან ნაშუადღევის 2 საათზე თავდება.

✦ **ქართველ ქალთა საზოგადოებას** თბ. გუბერნატორმა ნება დართო 5 თიბათვეს „ედემის“ ბაღში—ვერაზე სეირნობა გამართოს.

✦ **სამრევლო სკოლების** ოლქის მეთვალყურე ბ-ნი როდინსკი დასასვენებლად რუსეთს გაემგზავრა.

✦ **ვაზის წამალი.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას გუშინ, 2 თიბათვეს, დიდძალი ხალხი აწყდებოდა გოგირდის მისაღებად. საზოგადოებამ მიიღო ვლადივასტოკიდან მისი უმაღლესობის ა. პ. ოლდენბურგის პრინცის მიერ დათმობილი 24,000 ფუთი დაუფქავი გოგირდი, რომელსაც 1 ფუთს 15 მან ჰყიდის.

✦ **ქალაქის ტრამვაი.** დღეს, 3 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კერძო თათბირი ექნებათ ქალაქის გამგეობის წევრებს და ხმოსნებს ტრამვაის მოწესრიგების შესახებ. როგორც ვიცით, ტრამვაის მუშაობის წეს-რიგი დიდ გასაჭირს განიცდის, რადგან გამგეობამ ვერ მოახერხა ცენტრალ სადგურისათვის დიზელის შეძენა და ლიანდაგებისათვის რელსებისა. გამგეობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს ტრამვაის მუშაობის შეჩერება თავიდან აიშოროს.

✦ **არაგვში დამხრჩვალნი.** როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ, მდინარე არაგვში გასვლის დროს დამხრჩვალან დები არაბულები შუქია 15 წლისა და მარია 18 წ. სოფ. ხეისტეჩოს მცხოვრებნი.

✦ **ტრამვაის უფასო ბილეთებით** სარგებლობა 1 ივლისამდე შეიძლება

✦ **ქართველ ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრებამ,** რომელიც მოწვეული იყო 1 თიბათვეს წ.-კ. გ. საზოგად. საგამომცემლო სექციის თაოსნობით, შეადგინა და დაამტკიცა სახალხო საბუნებისმეტყველო ტომების სია. კრებამ აირჩია ბუნების მეტყველთა კომისიაში: სვით იაშვილი (თავმჯდომარე) სოლომონ გულისაშვილი და დ. პარკაძე. ექიმთა კომისიამ აირჩია თავმჯდომარის ამხანაგად ექ. ვახ. მუსბელაშვილი, მდივნად—ექ. მ. წინამძღვარიშვილი.

✦ **ხირსის მონასტრის** წინამძღვარი იღუმენი დიმიტრი ეპ. ანტონის მიერ ხელდასხმულ იქმნა არქიმანდრიტობის ხარისხით.

✦ **მეფუტკრეობის კურსები.** გუშინ კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან დაიწყო კურსები მეფუტკრეობისა, რომელიც მიწად მოქმედების დეპარტამენტმა, საქართველოს ექსარხოსის შუამდგომლობით, მოაწყო სასულიერო უწყებაში მოსამსახურე პირთათვის. კურსებზე გამოცხადდა ჯერ სულ 40 კაცი,

✦ **ყაჩაღებთან შეტაკება.** 26 მაისს სოფ. ვაჩნაძიანში (თელავის მაზ.) ღამით თელავის ბოქაულს ახვლედიანს და მის სტრაჟნიკებს ყაჩაღებთან შეტაკება მოუხდათ ვაჩნაძიანის ხევში. სროლის დროს მოჰკლეს ერთი ყაჩაღი. ყაჩაღებმა კიდევ ერთი სტრაჟნიკი დასჭრეს სასიკვდილოდ და მიიმალნენ ღამის სიბნელეში. დაჭრილი სტრაჟნიკი ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ **დელეგატი ქალი.** გაემგზავრა პეტროგრადს თბ. სახალხო სკოლების მასწავლებელთა მხრივ ს. გ. ყაზახაშვილისა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მასწავლებელთა ყრილობაში მასწავლებელთა საპენსიო კასის წესდების განხილვის დროს.

**გორი**

4 თიბათვეს დანიშნულია გორის სასოფლო-სამეურ. საზოგადოების კრება. კრების საგანია: 1) ს. ს. საზ. საბჭოს მოხსენება გორის მაზრის საკრედიტო და მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დაარსების შესახებ. 2) წინასწარი განხილვა საბჭოსაგან შემუშავებულ კავშირის გეგმისა. 3) ბიუროს ამორჩევა, რომელიც განახორციელებს კავშირის დაარსებას გორის მაზრაში. ასეთი კავშირის დაარსება საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდეს, რათა თავიდგან ავიშოროთ ეს განუსაზღვრელი კრიზისი და დროზედ მივაწოდოთ მეურნეთ შემდეგისათვის მაინც სამეურნეო მანქანები, შაბიამანი, გოგირდი და სხვა საჭირო საქონელი. კრება მოხდება პროექტორის შენობაში შუადღის 12 საათზე.

---

სებით, შეცდომებს ვერც აწი გამოვასწორებთ და ვფიქრობ, როგორც წარმოების გაუმჯობესებაში მოგვცეს მაგალითი სხვებმა და ჩვენს საქმეზე მათი ამყოლი დავრჩით, ასე მოგველის აწიც. ამის მაგალითს იძლევა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეთა მოქმედება: მათ ვერ გაბედეს შავი ქვიან ადგილების გირავნობით სესხი გაეცათ, ხოლო ამავე დროს საგუბერნიო თავად-აზნაურობის კრებამ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა ჭიათურაში გერმანელთა საკუთრება ჩვენ გადმოგვეცესო. უნდა შევნიშნოთ, რომ რამდენათაც პირველთა გაუბედაობაა ლოღიკას მოკლებული, ისე მეორეთა სურვილია სინამდვილეზე დაშორებული. ან-კი რათ უნდათ ასე დაწუნებული და უვარგისი საქმე ან თუ საამისო სურვილი ჰქონდათ წინათაც ხომ უშუამდგომლოთ შეეძლოთ ამის განხორციელება!..

თუ ლიკვიდაციის საკითხი გამართლდა ამას, როგორც მოგახსენეთ ისინი ვერ დაეპატრონებიან და ჩვენი საზოგადოების გულგრილობა და მრეწველთა საბჭოს დაუდევრობა იმ მხრივ, რომ არც როდის არ იზრუნა სათადარიგო თანხა შეექნა, მიუტევებელ ცოდვათ აღინიშნება ჩვენს ისტორიაში და ეს იმ დროს, როდესაც როგორც მოგახსენეთ შავი ქვის წარმოებაში ახალი ხანა იწყება; გარდა იმისა, რომ იმისი მოთხოვნილება ერთი-ორათ გაიზდება; მოსალოდნელია აქვე, ამ ჩვენსავე არე-მარეზე, რამოდენიმე წლის შემდეგ, თვით ქვის სადნობი ქარხნებიც-კი აიგოს. ამის იმედს იძლევა ელექტრონის ძალის გამოყენება წარმოებაში და აგრეთვე საგულისხმოა აქვე ახლოს 15—20 ვერსზე ს. ეთომში და მის ახლო-მახლო ამოჩენილი ქვანახშირი, რომლის ნაწილიც თურმე ისეთ მხურვალე ძალას შეიცავს, რომ ადვილი მოსალოდნელია ამ საქმის განხორციელება.

ამ საკითხზე, თუ დღემდი სდუმდა რუსეთის მთავრობა და წარმოებას მუხრუჯს უჭერდა, რადგანაც ეს ქვა მხოლოდ ევროპიელთა ხვედრი ეგონა, დღეს თვით რუსეთისათვის შექნება იგი დაუფასებელი, რაიც მტკიცდება იმით, რომ წინეთ, თუ რუსეთის ბაზარი რამდენიმე მილიონს და არა უმეტეს 3—4 ძლივს იხმარდა, დღეს, ამ ომიანობის დროს, 15—20 მილიონამდი გაიტანს წლიურათ, ხოლო მომავალში, ვფიქრობთ, მოიხმარს 30 მილიონამდე და ფერო-მარგანეცის გატან უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის ვინემ ნედლის საქონლისა და აგრეთვე ევროპის ბაზარზედაც.

რაც დავკარგეთ ისიც კმარა. და სასურველია მრეწველობაში სანამდის სრულიათ არ გამქრალა ჩვენი ხელიდან, ახალი გზა გამოინახოს; ეს იქნება მრეწველთა ჯგუფობრივი შეკავშირება და მემამულეთაგანაც თვიანთი მამულების დაცვა გაყიდვისაგან, რადგანაც წარსულის შედარებით მომავალი უკეთესი სჩანს და ამ ნიადაგზე ჩვენი და ჩვენი მრეწველების შეკავშირება ადვილი იქნება.

ნურავინ იფიქრებს მრეწველობაში მე თითქოს ვეწინააღმდეგე გარეშეთა გაბატონებას; სრულებითაც არა, სწორეთ მოგახსენოთ წინააღმდეგი გახლავართ გარეშეთა მფლობელობისა და არა კაპიტალისა, ალებ-მიცემობაში.

**ა. ხაზულიანი.**

---

# სამძიმრის დეპეშა

**პეტროგრადი.** გული მომიკლა ძვირფასი იროდიონის უდროოდ დაკარგვამ. ვწუხვარ, რომ აქ არ ყოფნის გამო ძალიან გვიან შევიტყე ეს გულსაკლავი ამბავი. ჩემს უგულითადესს სამძიმარს ვუთვლი მის დაობლებულ ოჯახს.

**კოტე ქავთარაძე.**

# თბ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება

**31 მაისი.**

კრება დაიწყო საღამოს 8 საათსა 45 წ. თავ. კ. ნ. აფხაზის თავმჯდომარეობით და წინა დღის კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ განაგრძო განხილვა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

**საადგილ-მამულო კომისია.**

საადგილ-მამულო კომისიის განკარგულებაში, რომელიც თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებობს, გადარიცხულია საადგილ-მამულო ბანკის წმინდა მოგებიდან მთელი სახელდახელო თანხა, 10%-ის გამოკლებით სათადარიგო თანხაში შესატანად, 27,131 მ. 51 კ. და აგრეთვე მთელი საადგილ-მამულო თანხა, 10%-ის გამოკლებით, სათადარიგოვე თანხაში შესატანად, 54,263 მან. 02 კ., სულ 81,394 მან. 53 კ., რომელიც წარსულ წელში გადადებულ თანხაზე ნაკლებია 3,411 მ. 61 კაპეიკით.

კრებამ უკამათოდ შეიწყნარა ხარჯთ-აღრიცხვის ეს განყოფილება.

ამასთანავე კრებას მოხსენდა ვრცელი ანგარიში საადგილ-მამულო კომისიის მოქმედებისა 1915 წლის განმავლობაში. ამ ანგარიშში ჩართულია შემოკლებითი ცხრილი კომისიის ნამოქმედარისა 1907 წლის 1 მარტიდან ვიდრე 1916 წლის 1 იანვრამდე, ე. ი. თითქმის 7 წლის განმავლობაში. როგორც ეს ცხრილი გვიჩვენებს, აღნიშნულ დროს განმავლობაში კომისიის ხელმძღვანელობით და დახმარებით 11,080 მეკომურს შეუძენია სულ 48.280 დესეტინა 598 საჟ. მიწა 2,457,168 მან. 61 კაპეიკად. 1 დესეტინას ორთა შუა რიცხვით უწევს 59 მან. 89 კაპ. უფრო მეტი მამულია შეძენილი 1911 წელს, სახელდობრ 8.792 დეს. 20.000 საჟ. მეორე ადგილი უჭირავს 1907 წელს, როცა შეუძენიათ 8.187 დეს. 2.373 საჟ. მიწა. მესამე ადგილი უჭირავს 1910 წელს, როცა შეძენილია 7.041 დეს. 1,845 საჟ. მიწა. ფასების მხრივ შედარებით უფრო ძვირი დამჯდარა მამული 1909 წ.—1 დეს. 81 მანეთად, უფრო იაფად შეუძენიათ 1912 წელს—1 დეს. 35 მან. 23 კაპ. წარსულ 1915 წელში, როგორც ყოველ მხრივ განსაკუთრებითი ხანაში, შეძენილია ყველა წლებთან შედარებით ნაკლები ზომის მამული—სულ 1.801 დეს. 1.749 საჟ. ფასი-კი წინა წლებთან შედარებით მეტი გასულა შარშან—1 დესეტინაზე 98 მან. 20 კაპ. 1914 წელს-კი ომიანობას დიდი გავლენა არ ჰქონია კომისიის მუშაობაზე; ამ წელს შეძენილია 4.585 დეს. 860 საჟ. მიწა და 1 დესეტინა ორთა შუა რიცხვით დამჯდარა 43 მან. 03 კაპ., ე. ი. ამ წელს კომისიას ბევრად უფრო მოხერხებულად უმუშავნია, ვიდრე წინა 1913 წლის განმავლობაში, როცა შეძენილ იქმნა 4.264 დეს. 1077 საჟ. მამული და 1 დესეტინა მიწა დამჯდარა 54 მან. 40 კაპ.

საანგარიშო 1915 წლის განმავლობაში კომისიას გაუცია სესხად 50.250 მან. ამ თანხიდამ მამულების შესაძენად მიეცა 6 ამხანაგობას 8.250 მან.; კოოპერატივებს (?) და მომხმარებელ ამხანაგობათ 3.500 მან.; მდინარის ნაპირების გასამაგრებლად 500 მან.; საქაშეთის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას 2000 მან.; ოთხ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში შეტანილ იქმნა საკვების შესაძენად 31.000 მან.

კომისიის მიერ სესხად გაცემულ ფულის ჯამი უდრიდა მიმდინარე 1916 წლის 1 იანვარს სულ 235.533 მან. 41 კაპ., მაშასადამე საანგარიშო 1915 წლის 1 იანვრამდე ყოფილა გაცემული 185.283 მან. 41 კაპ. სესხად გაცემული ფულიდან მიუღია კომისიას შარშან მხოლოდ 6.181 მან. 80 კაპ.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომისიას მიუცია დახმარების სახით: 1) ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისთვის 12.000 მან.; 2) ავლევის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სკოლისთვის, რომელსაც თავ. კ. მ. ამირეჯიბი ინახავს, 2.000 მან., და 3) სტეფანწმინდის სახელსაქმო სკოლისთვის, რომელსაც გენ. გ. ნ. ყაზბეგი ინახავს, 400 მან. ამ რიგად სახელდახელო თანხიდან კომისიას გაუცია სულ 14.400 მანეთი.

მიმდინარე 1916 წლის 1 იანვარს კომისიის განკარგულებაში იყო ხელუხლებლად: საადგილ-მამულო თანხა 57.268 მან. 86 კაპ., სახელდახელო თანხა 13.943 მან. 40 კაპ. და კომისიის კასაში 1.994 მან. 06 კაპ., სულ 73.206 მან. 32 კაპ.

თავის მოქმედების პირველ ხნის განმავლობაში კომისია სარგებელს არ სთხოვდა გლეხების საზოგადოებათ ნასესხებ ფულში. შემდეგ ეს წესი უხერხულად იქმნა ცნობილი და ამ ჟამად კომისია სესხის გაცემის დროს ღებულობს 4—6 პროცენტს. 4 პროცენტს ღებულობს კომისია იმ შემთხვევაში, როცა გლეხებს და ამხანაგობათ ფული სჭირდებათ მამულის შესაძენად; 5 პროცენტს ღებულობს იმ შემთხვევაში, როცა ფულის მსესხებლებს საზოგადო საქმესთან თავიანთი კერძო სარგებლობაც აქვთ აზრად და 6 პროცენტს ახედევინებს მომხმარებელ ამხანაგობათ და წვრიმალ საკრედიტო დაწესებულებებს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში კომისიის კასაში შემოსულა ფულის სარგებელი 10.000 მანეთამდე. კომისიის ანგარიში უცვლელად იქმნა შეწყნარებული, მხოლოდ ზოგიერთმა ორატორებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ კომისიის განკარგულებაში არსებული თანხები, ჟამთა მოთხოვნილების მიხედვით, ხალხის საზოგადო აუცილებელ საჭიროებას მოხმარდესო.

**ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.**

შემდეგი განყოფილებანი ხარჯთ-აღრიცხვისა, როგორიც, მაგალითად, შესახებ ქარვასლისა და ელექტრონის სადგურისა, უცვლელად იქმნა დამტკიცებული. მიმდინარე 1916 წელში სასოფლო-სამეურნეო თანხის მოსალოდნელ სარგებლის (6.000 მანეთამდე) შესახებ კრებამ დაადგინა, რომ ეს ფული გადაეცეს საადგილ-მამულო კომისიას სახელდახელო საჭიროებისათვის. ამით დამთავრდა მთელი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

კრება რამდენიმე წუთით შეწყდა. თავმჯდომარე კრებისა გუბერნიის მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზი კრების სახელით მიესალმა იქ მყოფ თავ. ალ. სუმბათაშვილს, რომელმაც თავისს მხრივ მოკლე გრძნობით აღსავსე სიტყვით მადლობა გადაუხადა კრებას.

**საერობო ბიურო.**

კრების განახლებისას წაკითხულ იქმნა მოხსენება საგანგებო ბიუროს შესახებ, რომელიც 1915 წელს შესდგა თავად-აზნაურთა საკრებულოსთან და რომელსაც დავალებული ჰქონდა საერობო რეფორმების შესახებ მოხსენებანი შეემუშავებინა. მიუხედავად მოკლე დროისა, ბიუროს მუშაობა ერთობ ნაყოფიერი იყო, რადგან იმან მოასწრო ყველა იმ მოხსენებების შემუშავება, რომელნიც განხილულ და შეწყნარებულ იქმნენ საერობო თათბირზე მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით. შედარებით ფულიც ცოტა დახარჯულა ბიუროზე, სულ მხოლოდ 3.6000 მანეთი. მაგრამ სანამ საერობო რეფორმები განხორციელდებოდეს, ბიუროს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს და ამიტომ საჭიროა ამ ბიუროს განკარგულებაში გადაიდვას მიმდინარე წლის 1 თიბათვიდან წლის დამლევამდე 6.500 მან.

კრებამ წინადადება შეიწყნარა და დაადგინა მადლობა გამოეცხადოს ბიუროს წევრებს.

ამასთანავე შეწყნარებულ იქმნა თავ. გ. ნ. დიასამიძის წინადადება, რომ თავად-აზნაურობის ხარჯით ქართულ ენაზე გამოიცეს სახალხოდ წიგნაკები ერობის საკითხის შესახებ ჩვენში და აგრეთვე საჭირო თანხა დაიხარჯოს საერობო სტატისტიკის შესასწავლად, თუ გინდ ამ საქმისათვის საგანგებოდ მცოდნე კაცების გაგზავნაც დარჩეს საჭირო ზოგიერთ საერობო გუბერნიებში.

კრება გადაიდვა მეორე დღის საღამოს 8 საათისათვის.

**1 თიბათვე.**

**არჩევნები.**

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზე. ასარჩევია თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშალი, მდივანი და 2 წარმომადგენელი სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში. თავმჯდომარემ, თანახმად კანონისა, დარბაზიდან დაითხოვა ყველანი გარდა ცენზიანებისა.

თავად-აზნაურთა მდივნად არჩეულ იქმნა ისევ ი. ე. ზურაბიშვილი, რომელმაც მიიღო 109 თეთრი და 6 შავი კენჭი, სახელმწიფო ბანკში წარმომადგენლებად აირჩიეს თავ. ა. ნ. ჭავჭავაძე (103 თ. 11 შ.) და კ. ი. თულაშვილი (101 თ. 13 შ.). გუბერნიის მარშლის არჩევა გადაიდვა 3 თიბათვის საღამოს 8 საათამდე.

# თათბირი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენების თაობაზე

(დასასრული)

**ექ. ვირსალაძე.** აქ ჩვენ საკითხი სხვანაირად გვაქვს დასმული. ჩვენ გვთხოვენ, როგორც ექიმებს, დავასახელოთ კლიმატიურად და ჰიგიენურად უკეთესი ადგილი აგარაკისთვის. ნივთიერი მხარე—ეს გამგეობის საქმეა.

ამის შემდეგ **ზ. გველესიანი** მოახსენებს დამსწრეთ წაღვერში მგზავრობის შედეგს, სადაც მას უნდა გამოერკვია საკითხი—დაგვითმობენ საუფლისწულო მამულიდან აგარაკისთვის ნაჭერს, თუ არა. საუფლისწულო მამულების მოურავს ვინოგრადოვს და თვით დიდს მთავარსაც ჰგონებიათ, რომ გამგეობას ჰსურს ააგოს იქ აგარაკი—საავადმყოფო და, რადგანაც უმეტესი ამისთანა ავადმყოფები ტუბერკულიოზებიანი არიანო, ამიტომ არ შეუწყნარებიათ თხოვნა. მაგრამ, როდესაც მას, გველესიანს აუხსნია ვინოგრადოვისთვის, რომ გამგეობას საავადმყოფო კი არა, არამედ, აგარაკი-დასასვენებელი აქვს განზრახულიო, მაშინ მოურავსაც აღუთქვამს მისთვის შემწეობა დიდი მთავრის წინაშე.

**ს. მერკვილაძე.** თუნდაც წაღვერში დაგვითმონ მიწა, მაინც ჩვენ სურამში უნდა ავაგოთ აგარაკი. წაღვერს მე კარგად ვიცნობ. იქ ვაკე ადგილები თითქმის არ არის. იქ უმეტესად ფერდობებია, სადაც მხოლოდ საცალფეხო სასიარულოებია. ამას გარდა, 15 მარიამობისთვიდან იქ უკვე საკმაოდ აცივდება ხოლმე და ყველაფერი ისუსხება. სურამში კი ენკენისთვეშიაც თბილა. იმასთან წაღვერში ადგილს მხოლოდ იჯარით მოგვცემენ, საფასურით და განსაზღვრული ვადით. ჩვენ მუდამ სხვის თვალებში მაცქერალნი ვიქნებით. სურამში-კი შეიძლება ამ საქმეს სამარადისო ხასიათი მიეცეს.

**თავმჯდომარე.** საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. დამსწრეთა დიდი უმრავლესობის აზრი სურამს არჩევს. საჭიროა ერთი პატარა კითხვა კიდევ გადავწყვიტოთ—რამდენი დესეტინა მიწა იქნება დაახლოვებით საჭირო მომავალი აგარაკისთვის.

**ექ. ვირსალაძე.** რაც შეეხება ალაგის რაოდენობას, ორი დესეტინა სრულიად საკმარისია.

ამ აზრს ყველანი ემხრობიან.

**თავმჯდომარე.** ავადმყოფებისთვის რომ დავაპიროთ აგარაკის აშენება, მაშინ რომელი ადგილი იქნება შესაფერისი.

**ექ. ბალარჯიშვილი**—ისევ სურამი. ყველანიც ამ აზრს ემხრობიან.

**ზ. გველესიანი.** ჰიგიენის თვალსაზრისით, რამდენ სართულიანი უნდა აშენდეს აგარაკი—ორიანი თუ ერთიანიც საკმაოა.

**ექ. ვირსალაძე და ბალარჯიშვილი** აღნიშნავენ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა ჯერ ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში იგი უნდა გადასწყდეს ადგილობრივ.

ბოლოს **ექ. ვირსალაძე** საჭიროდ სცნობს აღნიშნოს, რომ აგარაკის აშენების საკითხის გამოსარკვევად ამას იქით საჭირო აღარ არის ყველა ქართველი ექიმების მოწვევა. საკმაოა მხოლოდ სამი ოთხი პირი იქმნას მოწვეული და ისინი შესძლებენ საკითხის დაბოლოვებას.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ დახმარებისთვის და ღამის 10 საათზე თათბირი დაიშალა.

## კახეთის ვითარება

ამ ორი წლის განმავლობაში რაც ეს უმაგალითო ხოცვა ჟლეტა მძვინვარებს, ყველამ კარგად უწყის, თუ რა ცეცხლში და ვარამში ჩაცვივდა ხალხი. ასი ათასობით მოსწყდა თავის სამშობლო კერას რჩეული ცოცხალი ძალა ერისა და ომის ღმერთს ზვარაკად შეეწირა. ამ მსხვერპლს ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს. გამოყრუვდა სოფელი, ცოცხალსასაფლაოს დაემგზავსა. სახლში დარჩენილი დავარდნილი მოხუცი თუ წვრილშვილი დედა ნაღვლიანად შეჰყურებს დაობლებულ ოჯახს, ნახევრად დაუმუშავებელ მამულ-დედულს და არ იცის სად ჰპოვოს ნუგეში.

ასეთია საერთო სურათი ჩვენ აოხრებულ სამშობლოსი, მაგრამ სულგრძელი და უბედობაში გამოწრთვნილი ქართველი ხალხი. გულს არ იტეხს და ზეკაცურ სიმხნევეს და ძალას იჩენს, რომ გაჭირვებას გაუძლევს და დაუნდობელ ცხოვრებას არ გაასრესინოს.

გადით სოფლად და მაგალითებს მრავლად იხილავთ. მიუხედავად იმისა რომ 50% მეტი საუკეთესო მომუშავეს გუთნის მაგიერ თოფი აალებინეს ხელში და სასიკვდილოთ ცხრამთას იქით უკრეს თავი, სოფელი მაინც უდაბნოთ არ არის ქცეული რასაც კი დასძლევდა მოხუცის, დედაკაცის თუ ბავშვის ხელი, ყველაფერი მოვლილ - დამუშავებულია. მომცდარ აბალახებულ ვენახ-მინდვრებთან შეხვდებით მშვენივრად მობიბინე ყანას, გაფურჩქნულ შეყელილ ვენახს. მცირეა ნამუშევარი, მაგრამ მეტად ძვირფასი, რადგანაც ეს არის ნაყოფი სისხლის ოფლით მორწყული ილაჯგაწყვეტილ ხალხისა.

მოსავლის კარგი პირი სიმხნევეს აძლევდა იმედ გატეხილ პატრონს, რომელიც ამითი აპირობდა გასძლოლოდა დღევანდელ ცხოვრების სიდუხჭირეს, მაგრამ ეს ნუგეში ხანგრძლხივი არ გამოდგა. მაისის შუა რიცხვებში მოვიდა საშინელი სეტყვა, რომელმაც კახეთის ბევრ სოფელს, ყანას თუ ვენახს სულ მუსრი აადინა, მიწასთან გაასწორა.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების დავალებით შემოვიარე ალაზნის გაღმა მდებარე რამდენიმე სოფელი, ზარალის გამოსაკვლევად. კალმით ვერ აიწერება საშინელება სურათისა, რომელიც მნახველს თვალწინ წარმოუდგება. ყანა იმდენად არის ჩაჩეგვილი, რომ საქონელი საძოვარ ბალახსაც ველარ პოულობს, ვენახში შეამჩნევთ მხოლოდ შიშველა ვაზს ჭიგოზე აკრულს, ფოთლისა და ნაყოფის ნიშანწყალიც კი აღარ სჩანს. ასევე ითქმის ხეხილზე და სხვა უბრალო ხეებზე, რომელნიც ტიტველ-შიშველნი უფრო შემოდგომის მიწურულს მოგაგონებენ. გულსაკლავია სანახავად ოვით სოფლებიც. ისედაც აოხრებული, უკაცობით გამოყრუებულს ამ ბუნების სტიქიას სიცოცხლის ნიშანწყალი სულმთლად წაურთმევია. ყველგან ქვითინი, მოთქმა, უიმედობა ამ უკანასკნელ სარჩოს დაღუპვით... შიმშილის და სიკვდილის ლანდი ეპატრონება სოფელს.

ჭაღარა შემოსილი მოხუცნი ოხვრით და თვალცრემლიანნი მომითხრობენ რომ ასეთი ღვთის რისხვა თავიანთ სიცოცხლეში არც უნახავთ, არც გაუგონიათ. ოთხი დღის განმავლობაში დედა მიწის ზედა პირი სეტყვით თეთრად ყოფილა მოფენილი. ადრეულა ბოსტნეულობა, რომელიც ამ მხრის სოფლების თვალსაჩინო შემოსავალს შეადგენდა, მთლად ჩაირეცვა, ათთორმეტ თუმნიან შაბიამანით შეწამლული ვაზები და სამ მანეთიან ღვთიურ მუშით მოხნულ-მოთესილი მინდვრებიც, როგორც ზემოთ აღინიშნება საძოვრადაც აღარ გამოდგება, ისეა ჩაკეპილ-ჩალეწილი. ასეთი ბედი ეწვია სოფელ **შაქრიანს, ნაფარეულს, სანიორეს, ფშაველას**, უფრო ნაკლებად დაზარალდა **იყალთო, ოქიო, ხორხელი** და კიდევ სხვა სოფლები. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა სოფელი შაქრიანი. მთელ სოფლის ნამუშევარში ერთი მტკაველი მიწა თუ ვენახი არ გადარჩენილა. ადგილობრივ შეფასებით ზარალი უდრის 71,500 მანეთს. ამისთანა ჯამი ისეთ პატარა სოფლისთვის (60 კომლია) როგორიც შაქარიანია, არა მარტო სამძიმოა, პირ და პირ სასიკვდილოა. ამ უბედურებას ზედ ერთვის კიდევ ციებ-ცხელება რომელიც მუსრს ავლებს მცხოვრებთ. სასოწარკვეთილმა გლეხმა აღარ იცის რას გაუძლოს: ომს, შიმშილს თუ ავადმყოფობას.

არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაშია ნაფარეული, სანიორე და ფშაველი. აქ თუ ნამუშავრის 100% არ არის დაღუპული 70—80% უეჭველად იქნება. გლეხობა ასეთ გასაჭირს განიცდის რომ ერთად-ერთ იმედს, შინაურ საქონელს ჰყიდის, რასაკვირველია ნახევარ ფასში, და ამით იკვებავს თავს. რა მოელით ამ უბედურთ ამ ზამთარში ღმერთმა უწყის...

აუცილებლივ საჭიროა ფიცხელი დახმარება. თელავის საქველმოქმედო საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება მოხსენებას წარუდგენს ამ მოკლე ხანში მთავარ გამგეობას და სთხოვს დახმარებას და ამ უკანასკნელმა ყოველი ღონისძიება უნდა მიიღოს რომ ამ დასეტყვილთ რაიმე სახსარი აღმოუჩინოს, თორემ ამ მოკლე ხანში შესაძლებელია აქ დიდი უბედურება დატრიალდეს.

ერთი სიტყვით საჭიროა დახმარება და რაც შეიძლება სწრაფი. სხვის იმედი ნურავისი ნუ გვექნება, ჩვენი დაღუპვა და ხსნა მხოლოდ ჩვენშია.

პირველ საჭიროების საგანს შეადგენს ხორბალი ან ფქვილი, რომელიც ეხლაც საყიდელი აქვთ და შემოდგომისთვის-კი სათესლე.

ვ. ც—ლი.

## წერილი თელავიდან

ქართული ენა საზოგადოდ აქ ყველგან მოიკოჭლებს. ყველგან ისევე აბუჩად არის აგდებული, როგორც თვით კანონი ნებას იძლევა. ერთად ერთი ადგილი საცა ამ ენას შესაფერი ღირსება და პატივი აქვს მიკუთნებული, ეს წ.-კ. საზოგადოების სკოლაა. ეს ასეც უნდა იყოს თუ მივიღებთ მხედველობაში საზოგადოების მთავარ მიზანს. აკი ამიტომაც ამ სასწავლებლის მოწაფეებს ეტყობათ სამშობლო ენის მადლიანი გავლენა. მასალა ბავშვს ცოცხლად აქვს შეთვისებული. თქვენ ჰხედავთ, რომ თუთიყუშთან კი არა გაქვთ საქმე, არამედ ბავშვთან, რომელსაც შეგნებულად შეუთვისებია გაკვეთილი. ჩვენ გადაგვარებულ სკოლებში ხშირად შეხვდებით ბავშვს, რომელიც უცხო ენაზე უაზროდ გაზეპირებულ სიტყვებს გადმოგცემთ; მისი სახე ტანჯვას გამოჰხატავს, ეტყობა გაზეპირებულისა არაფერი არ ესმის.

ნაცნობ, სამშობლო ენით სწავლებას კი სულ საწინააღმდეგო შედეგები მოსდევს.

პასუხის მოგების დროს ბავშვის მთელი სახე მოძრავია, აზრის გამომხატველი. ასეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა ადგილობრივ წ.-კ. საზოგადოების სკოლის მოწაფეთა გამოცდაზე. რუსულსაც, როგორც საგანს, რასაკვირველია თავის ადგილი აქვს დათმობილი. მაგრამ ეს არ მოსწონებია ბ. პოგორელოვს, სახალხო სკოლების ინსპექტორს, რომელიც სკოლის დასათვალიერებლად მისულა, ამ „პედაგოგს" რუსული ენის ცოდნა საკმარისად არ უცვნია. მისი აზრით 10—12 წლის სოფლის ბავშვმა რუსული ისევე იცოდეს, როგორც ქართული და **ქართულს იმიტომ ხწავლობენ, რომ უფრო უკეთესად შეითვისონ რუსული**, რადგანაც მასწავლებლები ამ უკუღმართ აზრის მიმდევრები არ ყოფილან სასტიკი შენიშვნაც მიუღიათ.

უნდა იცოდეს ბ. პოგორელოვმა, რომ ქართულ წ.-კ. საზოგადოების პირველ-დაწყებითი სკოლა ემსახურება წერა-კითხვის გავრცელებას და არა რუსიფიკაციას, რუსულსაც ფარგლებში ასწავლიან, როგორც თვით კანონი ნებას აძლევს და ბავშვთაც სათანადო ცოდნაც აქვთ ამ ენისა. ეს ანბანური ჭეშმარიტება უეჭველია არც ბ. პოგორელოვებისთვის არის უცხო ხილი, მაგრამ რას იზამ რომ ეს ანტიპედაგოგიური ხრიკები, ამ ჩვენ ცოდვილ დროში, საუკეთესო საშუალებაა კარიერისტების გულის ზრახვათა განსახორციელებლად.

თუ ქართულის დევნა სკოლებში კარიერისტ პედაგოგების ხელობაა, საქალაქო საქმეებიდან ქართველების დევნას კი ჩვენ „კეთილ მოსურნე" მეზობლებას საქმეა. მთელი თელავი თავის მოურავ-ხმოსნებითურთ ერთ ჯურის ხალხის ხელშია. ვადაც კარგა ხანია გაუვიდათ, მაგრამ საჭიროდაც არ სთვლიან ხელმეორედ არჩევნების დანიშვნას, თუნდა იმ უბრალო მოსაზრებით, რომ თავიანთი თავი ხელმეორედ აირჩიონ, რომ მათ „მადლიან" მოღვაწეობის კანონითაც ზურგი ჰქონდეს გამაგრებული. მაგრამ ამ არეულ დროში კანონს ან საზოგადოებას ანგარიშს ვინ უწევს. ეს დალოცვილი ომი ყველას და ყველაფერს ამართლებს და უთუოდ ბ. თათუზოვიც თავის „ღლასნებითურთ" პატრიოტიულ გუნებაზეა და ამ საშინელ სამამულიშვილო ომის დროს არჩევნებზე ზრუნვა და ფიქრი წვრიმალ საქმეთ მიაჩნია. საზოგადოებაც სდუმს. ეტყობა, თავის „თავდადებულ" მოურავის აზრებს მთლად იზიარებს და ადასტურებს.

Georgien.

## საზოგადოება „ალორძინება"

მომხმარებელ საზოგადოება „ალორძინების" გამგეობის უკანასკნელ კრებაზე გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებები:

1) პრესის საშუალებით გამოეცხადოს მადლობა იასონ სულთანიშვილს მაღაზიის უფასოდ დათმობისათვის ავლაბარში, სადაც მოწყობილია დროებითი ვაჭრობა პირველ მოთხოვნილების საგნებისა.

2) მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირისაგან დაკვეთილ იქმნეს კალენდრები 1917 წლისა: ა) კედლისა 3,000 ც. ბ) სტოლისა 500 ც. გ) უბისა 500 ც. და დ) ჩასაწერი უბის წიგნაკები 1,000 ც.

3) ვეწინააღმდეგოთ როგორც პრესის საშუალებით ისე პირადათ ყველას მათ, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ ტრამვაის ზოგიერთა მოსამსახურენი და არწმუნებენ მათ საკუთარ ე. ი. კერძოთ ტრამვაის მოსამსახურეთათვის საბაკალეინო სავაჭროს დაარსების საჭიროებაში.

4) ვ. ცივციეაძე გადაყვანილ იქმნას მოანგარიშეთ, საწყობის გამგეთ მიღებულ იქმნას გ. ერაძე, კანტორის მოხელეთ კი მიღებულ იქმნას მ. თურქია.

5) პირველ მაისიდან ყველა მოსამსახურეთ მოემატოს ჯამაგირები 40%—15% იმ ანგარიშით, რომ ნაკლებ ჯამაგირიანს მოემატოს მეტი %, მეტ ჯამაგირიანს ნაკლები %.

6) შეგირდათ მიღებულ იქმნას საზოგადოების წევრის შვილი თუხარელი ვერის განყოფილებისათვის.

7) აწერილ იქმნეს ქონება საზოგადოებისა 29 20 ამ თვეს.

8) მხედველობაში იქმნეს მიღებული ტრამვაის მოსამსახურეთა განცხადება 22 წევრის ხელმოწერილი.

9) დაევალოს კომისიებს მოელაპარაკნენ საზოგადოების ავლაბრელ წევრებს და მოწყობილ იქმნეს რამდენიმე ენაზე ლექციები.

10) ანგარიშების წარმოების მეთვალყურედ ამორჩეულ იქმნეს ი. ფანიაშვილი.

## დაბა-სოფლები

**სოფ. პრიუტი** (თბილისის მაზრა). დროთა ბრუნვამ, ხალხთა გამოფხიზლების სიომ ჩვენს პატარა კუთხესაც დაჰბერა, აქამომდე მიყუჩებული პრიუტი და მის მახლობლად მცხოვრები ქართველი გლეხნი სამოქმედოთ გამოაფხიზლა. მოსწყინდათ ძველებური ყოფა-ცხოვრება; თუმცა მსოფლიო ომმა ბევრს მოსტაცა ოჯახის ბურჯი, მაინც სულით არ ეცემიან, სურთ ჩაებან საერთო განვითარება-აღორძინებაში და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობაში.

ამ სამის წლის წინედ მემამულე ვასო თულაშვილმა, აწ განსვენებულმა წინადადება მისცა თავის გლეხებს მამულის ყიდვისა, მაგრამ ფასში ვერ მორიგდნენ. მის მემკვიდრის, ვლადიმერ ვახტანგის ძის თულაშვილის დავალებით სადგილ-მამულო კომისიამ გამოგზავნა ს. პრიუტში თავის რწმუნებული თავადი დუშიკო ფალავანდიშვილი, მან მამული ადგილობრივ ბეჯითად დაათვალიერა, შეისწავლა, ყოველი ღირსების ნაჭერი კარგი და უვარგისი კატეგორიებად დაჰყო და როგორც მცოდნემ საქმისა ყოველს ნაჭერს შესაფერისი ფასი დასდო, რის შესახებაც კომისიას ვრცელი მოხსენება წარუდგინა. თ-დი ფალავანდიშვილის წინადადებით შესდგა ადგილობრივ მცხოვრებ გლეხთა ამხანაგობა, რომელთაც თავის წარმომადგენელნი გაგზავნეს თბილისში და სთხოვეს ზემოხსენებულს კომისიას, დახმარება აღმოუჩინოს მათ თულაშვილების მამულის ხელ-მისაწდომ ფასად შეძენაში.

სადგილ-მამულო კომისია, აღჭურვილი დიდი უფლება-ნდობით, რომელსაც არსებობის დღიდამ არა ერთი და ორი გლეხთა საზოგადოება გაუბედნიერებია მამულების შეძენით, იმედია ამ ჟამადაც არ გადაუხვევს თავის წმიდა მოვალეობას და დღემდე შევიწროებულს უმამულო გლეხს, მამულის პატრონად გახდის.

საჭიროა ამ საქმეს დაუკავშიროთ შემდეგი საყურადღებო გარემოება:— პრიუტის მახლობლად მდებარე მამულები. შერვაშიძისა იყიდება ხუთ თუმნად, ბ. შარბახჩევმა პრიუტელს რუსებს მიჰყიდა საუკეთესო მამული დესიატინა 35 მანეთად; ლალისციხე გაიყიდა დეს. 18 მანეთში, დრე და პეტრებები, ბ-ნი არდაზიანისა თვით სათავად-აზნაურო ბანკმა დაუთმო გლეხებს 10—13 მანეთად; ამათ მიხედვით, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ არც ბ. თულაშვილი აუწევს ფასს თავის მამულს და მით საშუალებას მისცემს შეიძინონ მამული მათ ვინც დიდი ხნობით სცხოვრობენ შიგ და ამაგიც ბევრი დასდეს.

**მღვდ. მ. ყანჩელი.**

## თეატრი და ხელოვნება

ჰანრი ბერსტეინი და ჰანრი ბატაი, აი ეს ორი ახალგაზრდა დრამატურგი, რომელთაც სიახლე შეიტანეს საფრანგეთის თეატრში. ორი სკოლა, ორი სხვა და სხვა მიმართულება მოსჩქეფს ამ დრამატურგთა კალმის წვერით. განსაკუთრებულს ყურადღებას იპყრობს ბერსტეინის თეატრი, მისი წერის მანერა, სცენის ტეხნიკა. იგი უბრალო და მარტივია, სადა, ვით ჩვენი ცხოვრება. მის კალამს არ უყვარს ძველი ეფექტებით ყალბი სანტიმენტალობის შექმნა. ყოველისფერი ზომიერ ფარგლებში ტრიალებს, დრამაც და ტრაგედიაც სიჭარბის ფერადს არ მონახავს.

უეჭველია, სხვის ხელში ისეთი სიუჟეტი, როგორიც ჰანრი ბერნსტეინმა აიღო სახელგანთქმულ „ისრაილში" ანუ „ურიის სისხლში", როგორც ეს ქართველ მთარგმნელს მოუნათლია, უთუოდ სხვა გამოხატულებას იპოვნიდა, მკვეთრს ფერადებს. მაგრამ ჰანრი ბერნსტეინს ხელოვნების ფოკუსი სისადავის სილამაზით ჰლახავს ძველს ტრადიციულს ეფექტთა საზღვრებს და სულიერ განვითარებას დიდის ხელოვნებით აწარმოვებს.

„ისრაილი" ჰანრი ბერნსტეინის ნაანდრევ კალამს ეკუთვნის. შეიძლება ითქვას, რომ ამ პიესის გამოქვეყნებით პირველი რეკორდი აიღო ახალგაზრდა დრამატურგმა და მით ელვარება დაიწყო იმ ვარსკვლავმა, რომელიც ასეთის ნარნარებით დასთინათინებს დღეს მის სახელს მთელს საფრანგეთში. ფაბულა პიესისა აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან. ანტისემიტიზმი, აი რას ებრძვის ბერნსტეინი ამ პიესით! დაბადებითი ებრაელი, მაგრამ იმავე დროს ნამდვილი ფრანგი როგორც აღზრდით, ისე კულტურით, იგი განსახიერებული პროტესტია იმ ახალგაზრდა ფრანგებისა, რომელნიც მეოცე საუკუნეშიც კი ვერ განთავისუფლებულან ტრადიციული ზიზღისგან ებრაელებისადმი. და აი, ახალგაზრდა ტიბო ანტისემიტთა მეთაურად ითვლება. დევნა ებრაელობისა, შეუწყნარებლობა, დუელში გაწვევა მათი მეთაურებისა ტიბოს ხელობას შეადგენს. მაგრამ აი, ბედმა და გარემოებამ იგი შეაჯახა სასტიკ განცდას. იმ საკრებულოში, რომლის წევრიც ტიბოა, აგერ ოცდა ათი წელია რაც დაიარება ყველას მიერ მტკიცე ხასიათის მაგრამ ყველასთვის უწყინარი გუტლიბ. წევრებს არ მოსწონთ, რომ ებრაელი მათს გვერდითაა. ჰღელავს ტიბოც. მას ვერ მოუთმენია, რომ ეს თავადი იძულებული ხდება საზიზღარ ებრაელის სახელის გვერდით აწერს ბრწყინვალე ხელს. და აი, გადასწყვეტს მის ჩამოშორებას. გამოჩნდება გუტლიბ. ტიბო მოსთხოვს, გულახდილად აუხსნას, რომ მას, როგორც დიდ ნაციის შვილს, ფრანგს, ისიც ბრწყინვალე თავადს, არ შეუძლიან მოითმინოს მისი იქ ყოფნა, რომ უსიამოვნებას ასცდნენ, სთხოვს, საკრებულოს წევრებზე აიღოს ხელი. მაგრამ გუტლიბ მტკიცედ სდგას თავის გადაწყვეტილებაზე. ტიბო ქუდს ჯოხით გადაუგდებს, შეურაცხჰყოფს და იმავე დროს გაიწვევს დუელში.

დრამის მთელი ფოკუსი სწორედ ამ საბედისწერო შეხვედრაშია. გუტლიბ უზომოდ დამწუხრებულია, მაგრამ სეკუნდატებს მაინც გაუგზავნის ტიბოს. დრამის მწყობრი განვითარებით ვიგებთ, გუტლიბის წუხილს სწორედ ის შეადგენს, რომ ტიბო უკანონო შვილია.., აგნესა, ტიბოს დედა, დიდის ტანჯვის შემდეგ როგორც იქნება გამოუტყდება საიდუმლოში თავის საყვარელს შვილს. ტიბო გაშმაგებულს ქარიშხალს ემზგავსება. უღრესად ქრისტიანი ამ განდობის შემდეგ მეხით გაპობილ მუხასა ჰგავს. გამოსავალი გზა ერთი ღა დაინახა, ეს იყო ან მონანება, ან სიკვდილი და ტიბოც ამ უკანასკნელით იხსნის სირცხვილისაგან როგორც თავის პარტიას ერთის მხრით, ისე მამაშვილის სასისხლო შეტაკებისგან.

პიესა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იქნებოდა სათანადოდ დადგმული. მხედველობაში მარტო ის რომ მაქვს, რომ სცენა მეტად ღარიბია, გაქუცულ და სარდაფიდან ამოტანილ გაქონილ სურათებს არ შეუძლიანთ ილლუზია მოგცეთ განათლებულ ქვეყნის საკრებულოთა მორთულობისა, მხედველობაში არა გვაქვს თვით ჩვენ მსახიობთა უკულტურობა, რომელთაც არა თუ ფრაკი, თვით სმოკინგიც კი ცეცხლის პერანგსავით ეხრუკებათ ტანზე. არა, მე მაქვს მხედველობაში თვით თამაში, ეს ის თამაში, რაიც ბერნსტეინის განსაკუთრებულ თეატრისთვის განსაკუთრებულს ხელოვნებას მოითხოვს, რომელსაც საფრანგეთში მხოლოდ ერთმა აუღო ალღო და ეს ერთიც დიდი ანტუანია.

პირველ მოქმედებამ შედარებით ორს უკანასკნელთან მეტად საძაგელი შთაბეჭდილება მოახდინა. გაკრიტიკება მეტია. მეორე მოქმედებაში ტიბომ—ბ-ნმა ზარდალიშვილმა გამოასწორა რამდენადმე პირველ მოქმედების შთაბეჭდილება. ადგილ-ადგილ სასურველ ტემპერამენტს იჩენდა. განსაკუთრებით აგნესას (დედის—ქ-ნ დავითაშვილი) განდობის დროს. პასუხსაგები როლი ტიბოს შემდეგ უთოოდ გუტლიბია. კორიშელი ამ როლისთვის შედარებით ახალგაზრდაა, რომ სძლიოს სავსებით.

აგნესა — დავითაშვილი ანსამბლის ხელის შემწყობი იყო...

წარმოდგენას აუარება ხალხი დაესწრო. ბევრი უბილეთობისა გამო უკან დაბრუნდა.

**დიოგენი.**

**სახაზინო თეატრში**

პარასკევს, 3 თიბათვეს, მუსულმანთა ახლად ჩამოსული საოპერო დასი წარმოადგენს ექვს სურ. ოპერას „სეიფალ მულუკს" ავტორის მონაწილეობით. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

## შემოწირულება

[illegible] რედაქციამ მიიღო თავ. დ. დ. ჩ—საგან 25 მან.

რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულება: ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის შეგროვილი შაქრო ამირანის ძე გოგიაშვილის ქორწილში თედო მანველ. მურადაშვილის თაოსნობით.

სია შემომწირველთა: თედო მანველიძე მურადაშვილმა 2 მან., შაქრო ამირანიძე გოგიაშვილმა 2 მან., გიგო სირაძემ 5 მან., ეფრემ ხუბლარამ 1 მ. 50 კ., თითო მანეთი: გიგა ივანეს ძე ბერიკაშვილმა, ნიკალაი გინგლაშვილი, ლევან ჩიტოშვილი, კოლა მერაბის ძე ქვანია, გიგა ისეშვილი, ფილიპე ტარიელის ძე სვანიძე, მიხეილ ავთანდილოვი, ვალიკო ალავიძემ, ბაკურაძე ერასტი, ოლღა გიორგის ასული მურადაშვილის, დათიკო სოლომონის ძე ბაზირაშვილი, კოტე ავთანდილაშვილი 1 მ. 50 კ., ათ-ათი შაური სოლომონ გვრიტიშვილი, გიორგი ჩიხლაძე, დომენტი ჯანელიძე, მელიტონ ახვერდიანმა, კოტე ავთანდილაშვილმა. სულ 23 მანეთი.

## ამხ. ქართლი

**ბოსტნეულობის მაზანდა**

| | | |
|---|---|---|
| ბალი ადგილობრივი | ფუთი | 3—50 |
| ბალი (დასავლ. საქ.) | „ | 6-7 მან. |
| კიტრი ასი | | 6-7 მან. |
| ლობიო | ფუთი | 2—40 |
| კომბოსტო | ფუთი | 1—80 |
| „კაბაჩკა" ასი | ცალი | 4 მ. |
| ტყემალი ნამყენი | | 3—50 |
| „ უბრალო | | 1—60 |
| „ წითელი | | 4 მ. |

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


# შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია

# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
# ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

საუკეთესო კახური

# ღვინის საწყობი
## დამ ზურაბის ძის
# ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

ქ. ბაქოში

# ღვინით ვაჭრობა
# „მელაანი"
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები** (112—წ.)

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძმით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.